88 წელი თქვენთან ერთად!

88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №5-6 (7059) 16 მარტი, 2022 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა



„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“-2022

☞2

უკვდავებასთან ზიარებული...

ჩვენი დროის გმირები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზედა სიმონეთ-ში, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, ალია ბარდაველიძის სახელობის მემორია-ლი და რეკრეაციული ზონა მოეწყო.

☞3

სოლიდარობა უკრაინელ ხალხს!

ჩვენი გაზეთის ამ ნომრის გამოსვლის დღისათვის (16 მარტი, 2022 წელი), სამი კვირა გასრულდა, რაც ე.წ. სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად, უკრაინაში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები შეიჭრა.

ამ შეჭრას, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა, დასავლეთის მყისიერი რეაქცია მიჰყვა. მსოფლიოს ქვეყნების უმეტესმა ნაწილმა, ისე როგორც შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და ნატოს ალიანსის ქვეყნებმა, უმძიმესი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს რუსეთს,

საქართველო, მისი მოსახლეობა, ისე როგორც მთელი ცივილური სამყარო, ამ ომში უპირობო სოლიდარობას უცხადებენ უკრაინას, მის მოქალაქეებს. ქვეყნის ყველა დასახლებულ პუნქტში პრაქტიკულად ყოველდღე იმართება მხარდასაჭერი აქციები, მოსახლეობა აგროვებს ჰუმანიტარულ ტვირთებს უკრაინაში გასაგზავნად, ბევრი მოხალისე უშუალოდ მონაწილეობს ბრძოლებში, ბევრიც კი მოხალისედ მუშაობს დევნილების დასახმარებლად. ამ აქციებში აქტიურადაა ჩართული თერჯოლის მუნიციპალიტეტი, მისი მოსახლეობა.

☞2

ჩვენი უკრაინელი—ჩვენი ქართველი

☞12

გავაშენოთ ვაზი!

კარგი სიტყვა კარგ ადამიანეზე...

ჩაუმქრალი კერა

☞9

21 მარტი — ქართული ჟურნალისტიკის დღე

☞12

სოლიდარობა უკრაინელ ხალხს!

1☜

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აქტიური ჩართულობით ამ დღეში თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთის პირველი ნაკადი გაიგზავნა.

ჰუმანიტარული ტვირთი სპორტის სასახლის შენობაში საწყობდება,, რომლის დახარისხებასა და დატვირთვაში აქტიურად არიან ჩართული მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, მოხალისეები.

ჰუმანიტარული აქციის ფარგლებში, არამალფუჭებადი საკვები პროდუქტების, ბავშვის კვებისა და ჰიგიენის საშუალებების, მედიკამენტების, ტკბილეულისა და ტანსაცმელის შეგროვებაში საჯარო მოხელეებთან ერთად, ფართოდ ჩაერთო კერძო სექტორი, საგანმანათლებლო დაწესებულებები და მოხალისეები.

ჰუმანიტარული აქციისთვის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მნიშვნელოვანი თანხა გამოიყო პირველადი სამედიცინო დახმარების ნივთებისა და საკვები პროდუქტების შესაძენად.

უკრაინელი ხალხის დახმარების მიზნით, გაიხსნა ანგარიში, სადაც ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა გადარიცხოს თანხა და გახდეს ქველმოქმედების მონაწილე.

ანგარიშის ნომერი-300208800

აქცია გრძელდება, მონაწილეობის მსურველებმა ინფორმაციისთვის უნდა დარეკონ ან მივიდნენ შემდეგ მისამართებზე: საკონტაქტო: 598 58 74 38;

598 70 75 40

მისამართი: რუსთაველის ქუჩა №103; (სპორტის სასახლე)

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის თითოეულ ადამიანს, მეწარმეს, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს, მუნიციპალიტეტში მოღვაწე მედიკოსებს, საჯარო და კერძო სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მოხალისეებს, რომლებიც გამოეხმაურნენ ამ ინიციატივას და აქტიურად ჩაერთნენ ჰუმანიტარულ აქციაში.

დიდი იმედია, დადგება დრო, როცა როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებენ იმ ადამიანებს რომლებმაც სიცოცხლე გაიღეს სამშობლოს თავისუფლებისათვის. დიდება თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ და უკრაინელ ხალხს.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“-2022

მიმდინარე წლისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 690,0 ათასი ლარი გამოიყო. ამ თანხის სოფლებზე გადანაწილების წესი ამჯერადაც უკვე ადაპტირებული ფორმით მოხდა, რაც უპირველესად ითვალისწინებს სოფლის მოსახლეთა რაოდენობის გათვალისწინებას.

პროგრამულ თანხებს მუნიციპალიტეტის 45 სოფელი მიიღებს. ამასთან, კვლავ ძალაშია იმ პროექტების დადგენილი სავალდებულო ჩამონათვალი, სადაც ამ თანხების გამოყენებაა შესაძლებელი.

მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობით, მიმდინარე წლის 4-11 მარტს, მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელობის, სოფლებში თვითმმართველობისა და მერიის სამსახურების წარმომადგენელთა შეხვედრები მოსახლეობასთან, სადაც მოსახლეობამ იმსჯელა სხვადასხვა პრიორიტეტებზე და შეთანხმების საფუძველზე შეარჩიეს განსახორციელებელი პროექტები.

მოსახლეობასთან შეხვედრებში, რომლებიც ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე ღია სივრცეში ჩატარდა, აქტიური მონაწილეობა პირადად მიიღო მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა, მერის მოადგილეებმა მანუჩარ რობაქიძემ, მირზა ქოჩიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა დავით გოგბერაშვილმა, ჯემალ ისაკაძემ, საკრებულოში ადგილობრივმა მაჟორიტარმა დეპუტატებმა და მერის წარმომადგენლებმა.

მუნიციპალიტეტის სოფლების მიხედვით გთავაზობთ იმ პროექტების ჩამონათვალს, რომელთა განხოციელება საჭიროდ ჩათვალა სოფლის მოსახლეობამ.

—სოფელ თუზში ადგილობრივმა მოსახლეობამ პრიორიტეტად ცენტრალურ გზაზე გარე განათების დამონტაჟება, საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა და საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა დაასახელა.

მოსახლეობის გადაწყვეტილებით; სოფელ თავასაში, ცინაძეების უბანში მოეწყობა ბეტონის გზა;

სოფელ კაკაბაურში საუბნო გზა მოეწყობა ბეტონის საფარით;

სოფელ ჯგილათში საუბნო გზებზე მოხდება ინერტული მასალის შეტანა;

სოფელ ვარდიგორაში სასმელი წყლის სისტემა მოეწყობა;

—საზანოში მცხოვრები მოსახლეობის გადაწყვეტილებით ცენტრალურ გზაზე დამონტაჟდება გარე განათება;

შიმშილაქედში, მოეწყობა გარე განათება;

დელტასუბანში, კერძოდ კირკიტაძეების უბანში გაკეთდება სასმელი წყლის სისტემა;

სოფელ ჩიხორში, მოეწყობა მგზავრთა მოსაცდელი და შახტური ჭა, ასევე მოხდება საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა;

სოფელ მუჯირეთში განხორციელდება წყაროს რეაბილიტაცია;

სკანდეში დამონტაჟდება გარე-განათება;

—სოფელ რუფოთის მოსახლეობისთვის პრიორიტეტად ცენტრალურ გზაზე გარე განათების მოწყობა დასახელდა, გარდა ამისა ტელეფის მაცხოვრებლების გადაწყვეტილებით განხორციელდება ახალი სასაფლაოს შემოღობვითი სამუშაოები.

—პროგრამის ფარგლებში, სოფელ გოგნის მოსახლეობის გადაწყვეტილებით დაიგეგმა მინი სტადიონის შემოღობვა-რეაბილიტაცია;

—ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში დამონტაჟება გარე განათების და გადაწყდა საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

ძევრის ადმინისტრაციულ ერთეულში პრიორიტეტად საუბნო გზების ბეტონის საფარით მოწყობა და სოფელ სეფარეთში ინერტული მასალის შეტანა დასახელდა;

—ქვედა ალისუბნის მოსახლეობამ ერთხმად აირჩია მინი სტადიონის მშენებლობა, მოეწყობა ხუჯაძეების უბანში ცხაურები, ხოლო ზედა ალისუბანში დამონტაჟდება გარე განათება.

—სოფელ ღვანკითში მოსახლეობის გადაწყვეტილებით, პრიორიტეტად შიდა საუბნო გზების მოწესრიგება,ბოგირებისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობა დასახელდა, ასევე მოხდება სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა.

—ახალთერჯოლის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, გადაწყდა სოფელში არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია.

—სოფლის საერთო კრებაზე სიქთარვის ადგილობრივმა მოსახლეობამ ხმათა უმრავლესობით სტადიონის რეაბილიტაცია, ბოგირების მოწყობა და გარე განათების დამონტაჟება გადაწყვიტა;

სოფელ ბარდუბანში პრიორიტეტად საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და გარე განათების დამონტაჟება დასახელდა,

—პროგრამის ფარგლებში, ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში, საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა და გარე განათების დამონტაჟება მოხდება, ასევე ახალუბნის მოსახლეობის გადაწყვეტილებით შემოიღობება აჯამეთში არსებული მინის ნაკვეთები.

—ნახშირღელის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გადაწყვეტილებით, სავარჯიშო- სატრენაჟორო სივრცე მოეწყობა, ასევე სოფელ ნავენახევში, წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია მოხდება.

—ქვ.სიმონეთის ადმინისტრაციულ ერთეულში პრიორიტეტად მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა, ამბულატორიის რეაბილიტაცია, ბოგირებისა და ცხაურების მოწყობა დასახელდა.

—ზედა სიმონეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობამ გარე განათების დამონტაჟება, სანიაღვრე სისტემის მოწყობა და საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა დაასახელა.

—გოდოგნის მოსახლეობამ პრიორიტეტად სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, გარე განათების დამონტაჟება, მინი სტადიონების შემოღობვა, ბოგირების, ასევე საუბნო გზების ბეტონის საფარით მოწყობა დაასახელა.

—კვახჭირის მოსახლეობის სურვილის შესაბამისად სანიაღვრე სისტემისა და მინი სტადიონების მოწყობა, ასევე გარე განათების დამონტაჟება გადაწყდა.

—ჭოგნარის მოსახლეობამ ერთხმად გარე განათების მოწყობა აირჩია.

შეგახსენებთ, რომ „სოფლის მხარდაჭერის» პროგრამის ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტისთვის 690 000 ლარი გამოიყო.

უკვდავებასთან ზიარებული...

ჩვენი დროის გმირები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა სიმონეთში, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, ალია ბარდაველიძის სახელობის მემორიალი და რეკრეაციული ზონა მოეწყო.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ, მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, აგვისტოს ომში დაღუპული სამხედრო

მოსამსახურის, ალია ბარდაველიძის სახელობის მემორიალი გვირგვინით შეამკეს და პატივი მიაგეს დაღუპული გმირის ხსოვნას.

ლაშა გოგიაშვილია, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი: „საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისთვის გმირულად დაღუპული მებრძოლის, ალია ბარდაველიძის სახელის უკვდავსაყოფად და პატივისცემის ნიშნად მისივე სახელობის მემორიალი გაიხსნა. ალია ბარდაველიძე 2008 წლის, რუსეთ - საქართველოს აგვისტოს ომში გმირულად დაიღუპა. საკუთარი სიცოცხლე, ქვეყნის ერთიანობასა და მომავალს შესწირა. აქ, მემორიალზე ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები იმყოფებიან და მინდა თითოეულ მათგანს მადლობა გადავუხადო ღირსეული მამულიშვილის აღზრდისთვის. ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ომში დაღუპული გმირების ოჯახის წევრებმა იგრძნონ ყურადღება, ზრუნვა და თანადგომა. დიდება გმირებს, მათ სახელებს, რომელთა ხსოვნა არასოდეს მიეცემა დავიწყებას“—განაცხადა სიტყვით გამოსვლისას მუნიციპალიტეტის მერმა.

ასმეთაური, ლეიტენანტი ალია ბარდაველიძე ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანია. იგი ცხინვალთან დაეცა მაშინ, როდესაც რუსის ჯარმა იერიში მიიტანა დასახლებაზე.

დედა—ციური ბარდაველიძე „მისი კარიერა სამხედრო ცხოვრებას უკავშირდებოდა. ვერ წარმოედგინა თავი სხვაგან, ამავდროულად, ძალიან მოსიყვარულე და ოჯახზე მზრუნველი იყო. ბოლოს 2008 წლის სამ აგვისტოს გავიდა სახლიდან. ტელეფონმა დაურეკა „დედა, ჩქარა ფორმაო“... ჩაიცვა და წავიდა. რვა აგვისტოს ველაპარაკეთ ტელეფონით. სულ იმას ამბობდა, კარგად ვარო, გვამშვიდებდა, არ უნდოდა, რომ გვენერვიულა. ვერ ვიჯერებ, რომ აღარ არის, ძალიან გვიმძიმს“.

მემორიალისთვის განკუთვნილი ადგილი, ოჯახისა და მოსახლეობის სურვილის შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის გმირის საცხოვრებელ სახლთან ახლოს შეირჩა. პროექტის ფარგლებში მემორიალთან ერთად მცირე მოსასვენებელი ადგილები მოეწყო, ასევე განთავსდა საბავშვო ატრაქციონები.

ღონისძიებას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯომარის მოადგილეები, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი და საქართველოს თავდაცვის ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის თანამებრძოლები ესწრებოდნენ.

თანამებრძოლებმა გმირის დედას სიმბოლური საჩუქარი გადასცეს, სოფლის სკოლის მოსწავლეებმა კი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია უძღვნეს გმირის ხსოვნას.

ცეცხლის წვიმაში მეგობრების დასახმარებლად მისულმა ალიამ მათი გადარჩენა კი შეძლო, მაგრამ თავად დაიღუპა. თერჯოლელი გმირი მუხათგვერდის სასაფლაოზეა დაკრძალული.

ნინელი სულამანიძე

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგი:

„გმირობა შეუგნებელი მოქმედება კი არ არის, არამედ იმის შეგნებული გააზრებაა, რისთვისაც თავს სწირავ“...

ეს სიტყვები ნამდვილად შეეფერება ჩვენი სოფლის მკვიდრს - ალია (ალიკა) ბარდაველიძეს, რომელიც 2008 წლის აგვისტოში დაიღუპა, ცხინვალთან უთანასწორო ბრძოლაში.

ჩვეულებრივი ჭაბუკი იყო. 1984 წლის 4 აპრილს დაიბადა, დაამთავრა ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა, შემდეგ სამხედრო აკადემიაში სწავლობდა 4 წელი. წოდებით ლეიტენანტი, აგვისტოს ომის დროს ასმეთაური იყო. ბუნებით მამაცი, საუკეთესო მაგალითებს აძლევდა თავის მეომრებს. პრინციპული და შეუპოვარი იყო. გათავისებული ჰქონდა, რომ სამშობლო უპირველესია და მისთვის საჭირო დროს საკუთარი სიცოცხლეც კი უნდა გაწირო...

ორფოლოში, სადაც სამხედრო წვრთნებს გადიოდა, უთქვამს: „თუ გადავრჩი ერაყში მინდა წასვლაო“. წავიდოდა კიდეც. მას სამხედრო ცხოვრება იზიდავდა, სხვა სფეროში ვერც წარმოედგინა თავისი თავი. წარმატებულიც იყო... უამრავი სამხედრო მეგობარი ჰყავდა. უამრავი სიგელი და მადლობა აქვს მიღებული, ბოლოს ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

24 წლის ალია ბარდაველიძე, ოჯახის ერთადერთი ვაჟი, ვინ იცის რაზე ოცნებობდა, დაოჯახებაც ვერ მოასწრო, „ერაყს

რომ მოვივლი, მერე შევირთავ ცოლს“-ო უთქვამს.

იგი ისეთივე გმირია ჩვენთვის, როგორც ჟიული შარტავა, ოთარ გაბესკირია, გიორგი ანწუხელიძე და მრავალი სხვა. ის ღირსია სასკოლო სახელმძღვანელოში შინდისის გმირების გვერდით იყოს მოხსენებული.

ალია ჩვეულებრივ, მშრომელ ოჯახში დაიბადა. მამამ—მერაბ ბარდაველიძემ ვეღარ გაუძლო შვილის დაღუპვას და ნაადრევად გადასახლდა იმიერში, იმქვეყნად წავიდა, როგორც გმირის მამა.

ღირსეული ქალბატონი, დედა—ციური რობაქიძე-ბარდაველიძე, მას ჟიული შარტავას დედის გვერდით ვაყენებთ, რომელმაც თქვა: „მე შვილმკვდარი დედა ვარ და ამაყი, რადგან მკვლელის დედა კი არ ვარ, არამედ იმ გმირის დედა, ვინც საქართველოს ანაცვალა სიცოცხლე“...

დიახ, ალიას დედას და დას- ნათიას ნამდვილად შეუძლიათ იამაყონ. პატივისცემის ღირსია ალიას და—ნათია, რომელმაც თბილისი დატოვა და თავის ორ შვილთან ერთად სოფელში დაბრუნდა საცხოვრებლად, რათა ალიას კერა არ გაცივდეს. ამაყობს მისი გმირობით მშობლიური ზედა სიმონეთის სკოლა და ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა.

2022 წლის 16 თებერვალს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ძალისხმევით გაიხსნა ალია ბარდაველიძის მემორიალი, რომელიც არის შესანიშნავი რეკრეაციული სკვერი ნებისმიერი ადამიანისთვის.

სკვერის გახსნას მრავალი სტუმარი დაესწრო, მხარის გუბერნატორი, რაიონის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, კულტურის სახლის მუშაკები, მშობლები, მოსწავლეები, ალიას თანამებრძოლები.

მემორიალის გახსნაში დიდი წვლილი მიუძღვით სკოლის დირექტორს ბატონ გიორგი ქასრაშვილსა და სოფლის რწმუნებულს ბატონ ზვიად ბაზაძეს.

კიდევ მრავალჯერ ვახსენებთ ალიას სახელს. მის მემორიალთან ჩავატარებთ გაკვეთილებს გმირის უკვდავსაყოფად, თუმცა, ალია უკვე უკვდავებასაა ნაზიარები.

„სამჯერ ვარ დაბადებული,
მონათლულიც ვარ სამჯერა,
ერთხელ სიკვდილი რას მიზამს,
ერთხელ სიკვდილის არ მჯერა“.

დიახ გმირები არ კვდებიან, ისინი მუდამ ჩვენს გვერდით არიან!

შარავანდედი...

ასე ჰქვია სოფელ სიმონეთის მკვიდრის, პოეტისა და საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის ნანა ღვინეფაძის წიგნს, რომელშიც მოთხრობილია რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში ინტერვენციის დროს კოჯორ-ტაბახმელის ფრონტზე სათნოების დად წასულ 19 წლის მარო მაყაშვილის გმირობის ამბავი.

ცნობილი ქართველი პოეტის კოტე მაყაშვილის ასულის ტრაგიკული ხვედრი მტკივნეულად განიცადა ქართულმა საზოგადოებამ, გულანთებული პატრიოტის, „პირველი მსხვერპლი ქალის“ (როგორც წერდა მაშინდელი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“) მარო მაყაშვილის სახელი გმირობის სიმბოლოდ იქცა. გარდა ამისა, მარო მაყაშვილს თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მეორეკურსელ სტუდენტს დარჩა ძალზე საინტერესო დღიურები და სამშობლოს სიყვარულით აღვსილი პატრიოტული ჩანაწერები.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ მარო მაყაშვილის ლეგენდარული სახელი ახალი ძალით გამობრწყინდა და ქართველობას გაუნათა დაკარგული თავისუფლებისკენ მიმავალი გზა.

ნანა ღვინეფაძის წინამდებარე ნაშრომს, პრესაში გამოქვეყნებულ სხვა მისივე პუბლიკაციებთან ერთად, მინიჭებული აქვს საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის პრემია: „წლის საუკეთესო ნარკვევისათვის“, ხოლო რადიოჩანაწერი მიძღვნილი მარო მაყაშვილისადმი დაცულია საქართველოს რადიოს ოქროს ფონდში.

„მარო მაყაშვილი თავისი სამშობლოს ღირსეული შვილი იყო. ეს სახელი დაუვიწყარი და სამაგალითო იქნება ყოველი ქართველი ქალისთვის.

9 აპრილის ტრაგედიამ კი თითქოს გამოიხმო კოჯორ-ტაბახმელას სისხლიანი ტრაგედია.

ისტორია განსჯის განსასჯელს.

გმირები დარჩებიან მარად... მაშინაც კი, როცა საფლავი წაშლილია!“

ახლა გთავაზობთ პოეტ კოტე მაყაშვილის ლექსს მიძღვნილს თავისი გმირი ქალიშვილისადმი.

ჩემს მაროს

დავიღალე, აღარ მალხენს მნათობელი ციალი,
ჩემს ოცნებას აღარ ძალუძს ცად ნავარდი, სრიალი,
ჯადოსნური წრე მევლება, შინ მიხდება ტრიალი,
და უშენოდ ჩემო მარო, დავრჩი ობოლ-ტიალი!
არც სიცოცხლის, არც სიკვდილის, აღარა მაქვს ხალისი.
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი!
გულზე სევდა შემომაწვა თავის მძიმე ლოდებით...
საქართველო გაიჟღინთა მაყაშვილთა გოდებით...
დავიღალე... დავიჩაგრე... და შენი ვარ მხმობელი,
ჩემო გმირო და წმინდანო, გამამხნევე მშობელი!
სამშობლო თუ შენ — რომელი, ახ ვიტირო რომელი?!
დავდნი ცრემლად ორივესთვის, სხვათა ცრემლთა მშობელი!
მაგრამ, არა! წუთიერი სისუსტეა..! შემინდე!..
მაროს მამა ლაჩარივით როგორ უნდა შევშინდე?!
როს იღვიძებ, შვილო, ჩემში მფეთქავ ძალად ვიგზნები,
შენ ღირსი ხარ ჩემი და მეც შენი ღირსი ვიქნები!
შემომხედე! მუხასავით ვდგავარ მაგრად, წყნარათა.
სადარაჯოს არა ვტოვებ, ავდარს ვაგდებ არადა!
და თუ ბედმა წამაქცია მეხით, ცეცხლის მკვესავით
წავიქცევი უდრეკელი, რაინდულად შენსავით!

პუბლიკაცია მოამზადა ნ. იშხნელმა

გაზაფხული, დედის დღე და 8 მარტი ერთად მოგვილოცნია!

მუნიციპალიტეტის მერის გულთბილი მილოცვა და სიმბოლური საჩუქრები ქალბატონებს...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატთან, ელისო მურადაშვილთან ერთად გაზაფხული და

ქალბატონების უპირველესი სადღესასწაულ დღეები ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრისა და ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებს მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

„დიდი პატივისცემით ვულოცავ ყველა ქალბატონს გაზაფხულს და 8 მარტს–ქალთა საერთაშორისო დღეს, განსაკუთრებულია თქვენი წვლილი საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში. გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, წარმატებას, სიკეთითა და სიყვარულით სავსე ცხოვრებას. განსაკუთრებით ვულოცავ იმ პროფესიის ადამიანებს, რომლებიც მუხლჩაუხრელად ზრუნავენ ჩვენს ჯანმრთელობაზე, ჯანსაღ და სუფთა გარემოზე. მათი საქმიანობა ნამდვილად დასაფასებელია. მე მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ მათგანს გაწეული სამსახურისთვის. მნიშვნელოვანია ყოველთვის გრძნობდნენ ყურადღებასა და მხარდაჭერას ადგილობრივი ხელისუფლებიდან“—ლაშა გოგიაშვილი.

ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ასევე მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ქალბატონებმა მადლობა გადაუხადეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს და ღონისძიების ორგანიზატორებს სადღესასწაულო განწყობის შექმნისა და სიმბოლური საჩუქრებისთვის.

ელისო მურადაშვილი: „ხალხის ნდობა ჩემთვის დიდი პატივია“

... ქალი, დედა, აღმზრდელი და ხელმძღვანელი, ქალი თაობების სამსახურში, ბიზნესში... ქალაქ თერჯოლის მოსახლეობამ თქვა თავისი სიტყვა და მოვიდა პოლიტიკაშიც.

ჩვენ არაერთხელ შეგვიქმნია მისი პორტრეტი. მცდელობის, სურვილის, მონდომების მიუხედავად, იგი ყოველთვის არასრული გვეჩვენებოდა, ძნელია თავი ისე მოუყარო სათქმელს, რომ დაინახო, ან დაანახო სხვებს მისი პიროვნება.

ელისო მურადაშვილი თერჯოლაში და მის ფარგლებს გარეთაც კარგად ცნობილი ოჯახის შვილი და შვილიშვილია, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა ყოფილიყო ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში. „მინდა საქმით გამოვხატო ის მადლიერება და სიყვარული, რაც ქალაქმა და მისმა მოსახლეობამ წლების განმავლობაში ჩემსა და ჩემი ოჯახისაკენ მიმართა. თერჯოლა ჩემმა ბაბუებმა ვალერიან მურადაშვილმა, რომელიც თორმეტი წლის განმავლობაში იყო თერჯოლის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე და ვანო მაჩიტიძემ (ფილიპიჩი), თერჯოლის მილიციის უფროსმა შემაყვარა. ჯერ კიდევ მათით ვგრძნობ ჩვენი ოჯახისადმი სიყვარულს, მათი საქმე ჩემმა მშობლებმა გააგრძელეს და შემიძლია ვთქვა: თუ სადმე ცხოვრება მდომებია და მინდა, თანაც სიცოცხლის ბოლომდე, ეს თერჯოლაა. ასე რომ ვფიქრობ, ეს ჩემი წინაპრების დამსახურებაა და ასე თვლიან ჩემი შვილები—თამარ და გიორგი ამირანაშვილები“.

რა უთქვამთ მასზე სხვადასხვა დროს...

„სკოლაში ხალისით მივდივარ, რადგან იქ მხვდება მეორე დედა“; „ჩემი პირველი მასწავლებელი და კოლეგა, კეთილი, სანდომიანი, მეგობრული და მშრომელი, ენერგიული და ინოვაციური“; „მისი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ხიდი“ ეს იყო ღონისძიება, რომელმაც სამი თაობა გააერთიანა: მშობლები, ბებია-ბაბუები და მოსწავლეები“; „ელისო არის არაჩვეულებრივი შვილი, მშობელი, ორგანიზატორი და საოცარი კულინარი, ერთგული მეგობარი“; „მის მიერ ჩატარებული გაკვეთილი კოსმოსზე იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ თავი მართლა კოსმოსში მეგონა“; „ქალბატონმა შეძლო არა თუ ფეხზე დაეყენებინა მამის დაწყებული საქმე, არამედ სერიოზულად განევითარებინა ობიექტები, აემაღლებინა ბრუნვა და აეწია მომსახურების კულტურა“.

ფიქრები არჩევნების შემდეგ...

„ხელისუფლებას აქვს მცდელობა განვითარების პროცესი ხარისხიან რეჟიმში წარმართოს. გასაკეთებელი მაინც ბევრია. თერჯოლაში მრავალ ადამიანს ვიცნობ, ბევრი საარჩევნო პროცესში გავიცანი, მათი პრობლემები შესწავლილი მაქვს, მიფიქრია და ვფიქრობ, როგორ შეიძლება მათი მოგვარება, ჩემი სურვილია თერჯოლელ ამომრჩევლებთან ერთად ვიღვაწო, რადგან მომეცა საშუალება ვიყო მათი წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ხალხის ნდობა დიდი პატივია, ჩვენი თანამშრომლობა შედგა, ჯერი ახლა ჩემზეა, ჩვენ შევძლებთ უკეთესი მომავლის შექმნას—მადლობა თერჯოლელ ამომრჩევლებს, რომლებმაც ხმა მომცეს. არიან ამომრჩევლები, რომლებმაც ხმა სხვა კანდიდატს მისცეს, ეს ბუნებრივი პროცესია, ასე შვენის თერჯოლას, რომელიც დემოკრატიის გზას ადგას. მე ამირჩიეს ხმათა უმრავლესობით და ვიქნები თითოეული თერჯოლელის ხმა მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

გული საქმეში

გადაწყვეტილება, მიეღო მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებში, ცოტა გვიან მიიღო. ფიქრობდა: ქართული ოცნების გუნდთან და მერობის კანდიდატ ლაშა გოგიაშვილთან ერთად მეტი წვლილი შეეტანა ქალაქის განვითარებაში, უფრო ახლოს ყოფილიყო ხალხთან. ქალბატონი ელისო დაპირდა ხალხს, რომ არ დაიშურებდა ძალას, ენერგიას, ენთუზიაზმს, ახალგაზრდებთან, მშობლებთან, საჯარო თუ კერძო ორჯანიზაციებთან ურთიერთობის მრავალწლიან გამოცდილებას, რათა აკეთოს ხალხისათვის მნიშვნელოვანი საქმეები. მიიღო კიდეც ამომრჩეველთა დიდი ნაწილის მხარდაჭერა, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატია მუნიციპალიტეტის საკრებულოში და აქვს შესაძლებლობა შეასრულოს დანაპირები, უფრო მეტიც, გააფართოოს სამომავლო გეგმები. „ჩემი ცხოვრება ყოველთვის გამოწვევებით იყო სავსე, არც ერთი ეტაპი არ გამივლია მარტივად და უზრუნველად, თუმცა არც მქონდა იოლად ფონს გასვლის სურვილი, არაერთი იმედგაცრუება და მარცხი მქონია, მაგრამ არ დავნებებულვარ. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა შემეძლო, რადგან საქმეში ყოველთვის ვდებდი მაქსიმალურ შრომას, ძალისხმევას, მონდომებას და გულს“.

გზა მუშიდან დირექტორობამდე, დირექტორობიდან ლიდერობამდე

1988 წელს დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა, მუდმივად ჰქონდა ინტერესი პროგრესის, წინსვლის, ახლის შემეცნების და შესაძლებლობების გაფართოების. მიჰყვა თავის მიზნებს, დაიწყო გახანგრძლივებული დღის ჯგუფის აღმზრდელობიდან და რამდენიმე წელში №1 საჯარო სკოლის დირექტორი გახდა. პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად მეწარმეობაშიც სცადა ბედი. დაიწყო ნულიდან და შიშველი ხელებით შექმნა კვების ობიექტის—რესტორნის მომსახურება, ჰქონდა ბენზინ-გასამართი სადგური. არ უმუშავნია და უკეთებია მოვალეობის მოხდის მიზნით, ხარისხი და მაღალი სტანდარტი მისთვის მუდმივი გამოწვევა იყო. არ თაკილობდა არც ერთი სახის სამუშაოს, რიგითიც იყო და მუშაც, ხელმძღვანელიც და ლიდერიც, უკეთებია ისეთი საქმეები, რომელსაც უმეტესწილად მამაკაცები იღებენ საკუთარ თავზე, მუხლჩაუხრელმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. ქალბატონ ელისოს ეამაყება, რომ იმერეთის რეგიონის „წარმატებული ქალის“ ტიტული აქვს, რომელსაც 2015 წლიდან ატარებს, როგორც თვითონ ამბობს—დიდი შრომა, ძალისხმევა, ენერგია, კრეატივია ჩადებული ამ რეგულაციების მისაღებად.

მისი „ეკონომიკის ვარსკვლავის“ ორდენი

იდგა 2015 წლის აგვისტო. ნაციონალური ბიზნეს რეიტინგის საერთაშორისო კავშირის მიერ, რომელიც სპეციალიზირებულია საწარმოთა ეკონომიკის ლიდერთა გამოვლინებასა და წახალისებაზე, ელისო მურადაშვილი კომპანიის ეფექტური მართვისთვის, მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლისა და დარგის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის—დაჯილდოვდა ორდენით „ეკონომიკის ვარსკვლავი“ და გადაეცა ებრაელი მხატვრის მაქს შავიდის სახელოსნოში დამზადებული წარმატებული ქალის ქანდაკება.

მედლები, სერთიფიკატები, ორდენები, ჯილდოები—ყველაფრის გვირგვინი—პატარა, ლამაზი ოქროსფერი ქანდაკება ქალბატონი ელისოს სიამაყეა.

***

ძნელია იყო საწარმოს ხელმძღვანელი, რომელიც აღიარებულია ბიზნეს-რეიტინგის კავშირის მიერ, ლიდერი ხელმძღვანელი, ეკონომიკის ვარსკვლავის მფლობელი, აღიარებული ბიზნესმენი და ქველმოქმედი, რეგიონის წარმატებული, მაგრამ არანაკლებ ძნელია იყო წარმატებული სკოლის დირექტორი, მოძღვარი, რომელსაც კარგად ესმის მასწავლებლის დანიშნულება, ატარებდე საინტერესო, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე ღონისძიებებს, გასცემდე ცოდნას, გამოცდილებას და ეს ყველაფერი გამოულეველი გქონდეს.

„მასწავლებელი, როგორც სწავლებისა და აღზრდის წამყვანი ძალა, ჯერ თვითონ უნდა იყოს განათლებული, მეცნიერების საფუძვლებს ღრმად დაუფლებული, ოსტატი, ხელოვანი, რომელიც არ უნდა ჩამორჩეს ქვეყანაში მიმდინარე მოთხოვნებს—აღზარდოს ჰარმონიულად ჩამოყალიბებული, მეცნიერული ცოდნის, მტკიცე ნებისყოფის მქონე, ზნეობრივად უხინჯო, ფიზიკურად ძლიერი, მამულიშვილური გრძნობით გამსჭვალული ახალი თაობა—თქვა ქალბატონმა ელისომ და როცა გადავხედავთ სკოლასთან, პატარებთან მის დამოკიდებულებას, სკოლის საერთო წარმატებებს, ნათქვამი უნდა ვირწმუნოთ, მან ხომ მრავალ თაობას და ასეულობით პირველკლასელს შეაყვარა დედაენა, ასწავლა ან-ბანი, გაუხსნა გონების კარი, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანა უფრო მაღალ საფეხურამდე, მისცა საფუძველი სამომავლო წარმატებისთვის, პირველდაწყებითი განათლების სათავეებიდან ცოდნისაკენ მიმავალ გზაზე მყარად დააყენა.

ქალბატონი ელისო ამაყობს ყოფილი მოსწავლეებით, რომლებიც დღეს თავად არიან წარმატებულები, წლების განმავლობაში გასცემდა ცხოვრების საგზალს—ცოდნას. ელისო მურადაშვილის ეს მაინც არასრული პორტრეტი ძირითადად წარსული და ახლანდელი საქმიანობის მიხედვით შეიქმნა. ქალბატონი ელისო ახალი სახეა მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ახლახან ჩაება პოლიტიკურ ცხოვრებაში, წინ ოთხი წელია—დიდი დრო გამოავლინო შესაძლებლობები, ვნახოთ, როგორი იქნება იგი, როგორც დეპუტატი.

ელისო მურადაშვილი გამორჩეული იქნება, იქნება ქალაქ თერჯოლის თითოეული ამომრჩევლის ხმა მუნიციპალიტეტის საკრებულოში—ასე გვჯერა და ასე გვინდა.

ჟუჟუნა ცხადაძე

გაზაფხული, დედის დღე და 8 მარტი ერთად მოგვილოცნია!

აი, ქალი საქებარი

იგი დაიბადა ქალაქში, სადაც ქართული სულის მეტყველ მოწმედ დღესაც ამაყად დგას სურამის ციხე. ესაა ქალაქი, რომელიც წმინდად ინახავს მისთვის სისხლდანთხეულ მეომართა ნათელ ხსოვნასა და კედელში ჩატანებული ზურაბის ცრემლებს...

თითქოს სიმბოლურია ის, რომ ამ წიაღში დაბადებულ-გაზრდილს, მინდობილი საქმისადმი თავგანწირული ერთგულება სისხლში აქვს გამჯდარი...

ეს ქალბატონი დალი სარალიძეა, თერჯოლის პირველი საჯარო სკოლის ამაგდარი პედაგოგი, რომელსაც დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

ბავშვობიდანვე გონებითა და ნიჭიერებით გამორჩეული, გატაცებით სწავლობდა სკოლაში, ჰყავდა საყვარელი მასწავლებლები და თავადაც იყო მათი რჩეული, მისი მომავალი პროფესიაც ამას დაეფუძნა.

მერე იყო წარმატებული სტუდენტობა, განსწავლის წლები და სიყვარულთან წილნაყარობა...

საიმერეთო მისი დედულეთი იყო, ოჯახიც აქ შექმნა და თერჯოლაში დასახლდა. ღვანკითის სკოლა იყო მისი პედაგოგობის ემბაზი, აქ იგრძნო პირველად პროფესიული ხიბლი. ზუსტი მეცნიერების სიყვარული ეხმარებოდა მას ასევე ზუსტი და შეუმცდარი ყოფილიყო თავის გადაწყვეტილებებში. უშრეტი ფანტაზიისა და ენერგიის ახალგაზრდა პედაგოგი მალე შეამჩნიეს რაიონის იმდროინდელმა მესვეურებმა. ასე დაიწყო ქალბატონი დალის კარიერული წინსვლა, თავი არსად შეურცხვენია, საქმისათვის არასოდეს უღალატნია, არავინ გაუწბილებია... თანამდებობას არასოდეს დაუჩრდილავს მისი სულიერი სიმაღლე...

ქალბატონი დალი არასოდეს შემოფარგლულა საკუთარი მეთი, მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და ყოველთვის გამოირჩეოდა წინმსწრები აზროვნებითა და თადარიგიანობით.

მერე, რაც მის ცხოვრებაში მოხდა, ეს იყო ყველაზე დიდი, წმინდა, ამაღლებული და ამაღელვებელი, ქალბატონი დალი ქალ-ვაჟის დედა გახდა... დედა არამარტო ტრადიციული გაგებით, არამედ უფრო მაღალზნეობრივი და გამაოგნებელი...

სიყვარულში, ზრუნვაში, მუხლჩაუხრელ შრომაში, სიახლეების ძიებაში, სიკეთის თესვასა და უკეთესის მოლოდინში გაჰყვა ათწლეულები ერთმანეთს. ნაშრომ-ნაამაგარი შთამბეჭდავია...

დროის მდინარებაში ყველაფერი შეიცვალა, მაგრამ არ იცვლებოდა ქალბატონი დალის ადამიანური ღირებულებები. შრომა არასოდეს ეთაკილებოდა, არც მაშინ, როცა აღზევებული იყო და, არც მაშინ, როცა ოჯახი თავისი ნაოფლარით უნდა გამოეკვება.

განვლილი წლები ეამაყება, უკან მოხედვის არ ეშინია... ბევრ წარმატებასთან ერთად იყო მარცხიც... ცხოვრება ყოველთვის ისე არ არის მოწყობილი, რომ ადამიანებმა მარტო აამონ ერთმანეთს, ხშირად ვერ ახერხებ, რომ ბოლომდე დაანახო მავანს შენი სიმართლე და გულწრფელობა, მისდამი პატივისცემა... მის ცხოვრებაშიც იყო ასეთი მტკივნეული მომენტები, მაგრამ ზუსტად იცის, რომ უსამართლოდ არავის მოჰ-

ქცევია, შეგნებულად გული არავისთვის უტკენია...

ყველაზე დიდი ბედნიერება და სიხარული თავის პროფესიაში იპოვა...

ნამდვილი მოსაქმე იქ იბადება, სადაც თანამედროვეობის გამახვილებული სმენა და ყნოსვაა, სადაც დღევანდელობას ფართოდ გახელილი თვალებით უცქერ, დალი მასწავლებელი მუდამ თანამედროვეა, თითქოს პედაგოგის კვართითაა დაბადებული, უშურველად გასცემს და უანგაროდ ღებულობს, მზადაა გაათენოს არაერთი ღამე იმისათვის, რომ მისი გაკვეთილი მეორე დღეს იყოს ფერადი, მოზაიკური, საინტერესო, ინოვაციური, მათემატიკაც აქციოს პოეზიად...

მაინც რა არის დალი მასწავლებლის წარმატების საიდუმლო?

მას მკვიდრად აქვს შესისხლხორცებული ერთი მარტივი ჭეშმარიტება: მოსწავლეს უნდა მისცე ყველაფერი, რაც აქცევს მას ღირებულ პროფესიონალად და ღირსეულ მოქალაქედ და რომ ეს შეძლო, თავად უნდა იყო ამის ცოცხალი მაგალითი.

თერჯოლის პირველ საჯარო სკოლას უყვარს და ეამაყება თავის წიაღში გამორჩეული მასწავლებელი და კოლეგა, ყველა რანგში მისაბაძი და სანიმუშო დალი მასწავლებელი...

დღეს ის იუბილარია, ათეულები სახელოვნად მოამრგვალა... ვულოცავთ მას ამ ღირშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ იმ სულიერ მხნეობას, უშრეტ ენერგიასა და კეთილშობილებას, რითაც ყოველ დროს იყო და არის გამორჩეული.

თერჯოლის №1 საჯარო სკოლის

პედაგოგიური კოლექტივი

ბარათებით გაცხადებული სიყვარული...

როცა მასწავლებელი ხდები, გინდა თუ არ გინდა, თითოეული იმ მოსწავლის ბიოგრაფიის ნაწილი ხარ, ვისაც შენი მოძღვრობა ერგო წილად. ეს ურთულესი და საპასუხისმგებლო პროფესია გაძლევს შანსს თავი დაიმკვიდრო მოსწავლეებში, საზოგადოებაში ღირსეულ, საყვარელ ადამიანად და საუკეთესო მოგონებებით კვებო შემდეგ თითოეული მათგანი ცხოვრების მანძილზე. ამასთან, სიკეთით, სითბოთი, მეგობრული ურთიერთობით და სიყვარულით ნასაზრდოები ურთიერთობა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის საუკეთესო შედეგის მომტანი ანუ ქვეყნის უკეთესი ხვალინდელი დღის გარანტია, პედაგოგს ცხოვრების მანძილზე უკან უბრუნდება ამაგი, სიყვარული და პატივისცემა, რომელიც უშურველად გაუცია სასწავლო თუ საალმზრდელო პროცესში.

ეს წერილი იწერება მასწავლებელზე, რომლისთვისაც მოსწავლეებისაგან გაცხადებული სიყვარული არის ყველაზე დიდი ჯილდო, მისგან გაცემულის სანაცვლოდ და ამაზე მეტს არც არასოდეს ინატრებს...

ეს იამზე ბოჭორიშვილია, სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ალისუბნის თემის №1 საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი...

დაიბადა ალისუბანში, დაამთავრა ქ. ქუთაისის პედაგოგიური უნივერსიტეტი ისტორია-ტურიზმის სპეციალობით. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. მეუღლე დავით კუტივაძე ამ სკოლის დირექტორია, შვილები ნუნუ და ბაქარი ამავე სკოლის წარჩინებული მოსწავლეები არიან. ნუნუ მე-12 კლასში სწავლობს, ოქროს მედლის კანდიდატია, ხოლო ბაქარი მე-9 კლასშია და „ჩემი პირველი კომპიუტერის“ კანდიდატია.

იამზე ბოჭორიშვილი მეექვსე კლასის დამრიგებელია და მას, როგორც ყველა მის კოლეგას განსაკუთრებული მისია აქვს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიმართ. მეექვსე კლასში 13 მოსწავლეა. კლასი აქტიურია, მოსწავლეთა უმრავლესობა მაღალი აკადემიური მოსწრებისაა. დამრიგებელსა და მოსწავლეებს შორის გამორჩეულად კარგი ურთიერთობაა.

ამას წინათ იამზე მასწავლებელს მეექვსეკლასელებმა საკლასო ოთახში მაგიდაზე ბარათები დაახვედრეს, თქვენ ახლა შესაძლებლობა გეძლევათ მოსწავლეთა ბარათების ამონარიდებით თავად განსაჯოთ რა არის საჭირო და უმთავრესი სასკოლო ცხოვრებაში.

ჩემი დამრიგებელი...

ასეთი დასათაურება აქვს ბარათებს. არ ვიცი ვისი იდეა იყო, რომ მოსწავლეებს ამ სახით გამოეხატათ სიყვარული თავიანთი დამრიგებლისადმი, თუმცა მათ ნააზრევსა და გულწრფელობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

ცალ-ცალკე თითქმის ყველანი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ იამზე მასწავლებელი არის ლამაზი, კეთილი, კარგი მასწავლებელი, საუკეთესო მეგობარი და დამრიგებელი დედასავით, რომელსაც სურს შვილი ყველაზე განათლებული, ჭკვიანი და ზრდილობიანი გამოუვიდეს...

ნიკოლოზ ჯაბიძე: „ჩემი დამრიგებელი არის ძალიან ლამაზი და განათლებული ადამიანი. იგი ყველა მოსწავლეს თანატოლივით გვექცევა. ყოველდღიურად გვარიგებს, მას სურს, რომ ჩვენ კარგად ვისწავლოთ, განათლებულები და ზრდილობიანები ვიყოთ...

ბიჭებმა რამდენიმეჯერ არ გავითვალისწინეთ მისი დარიგება და შემდეგ სანანებლად გაგვიხდა. პირობა დავდეთ, რომ აღარ ვიცელქოთ და მისი თითოეული დარიგება გავითვალისწინოთ.

ნორა ბოჭორიშვილი: მას ერთი სიტყვით ვერ დავახასიათებთ. გვასწავლის საქართველოს ისტორიას, თუ რაიმეს კარგად ვერ გავიგებთ და ვერ გავაკეთებთ ისევ წყნარად გვიხსნის, რომ კარგად ავითვისოთ. ისე საინტერესოდ გვარიგებს, ძალიან მომწონს. ყოველთვის გვერდით გვიდგას და ყველა გაუგებრობას თავიდან გვაცილებს, ვფიქრობ მეორე დედაჩვენია...

ბრძენი, წინდახედული და წყნარია. ალბათ ყველას ეს მოგვწონს და გვიზიდავს მასში.

მიყვარხარ მას!

საბა კირკიტაძე: არის კარგი მასწავლებელი, როდესაც ვჩხუბობთ გვარიგებს და გვასწავლის ერთმანეთის პატივისცემას, ასევე უფროსების პატივისცემას. მას ძალიან უყვარს ბავშვები... არის კეთილი და ლამაზი, მიყვარს ჩემი კარგი დამრიგებელი...

დიმიტრი კუპატაძე: იამზე მასწავლებელი არის ძალიან კეთილი, ბევრჯერ დაგვიშვია შეცდომა და უპატიებია, თუმცა ყოველთვის გვითითებს, როცა ვაშავებთ. არის მომთხოვნი, როგორც გაკვეთილის და წესრიგის, ასევე სისუფთავის. ჩემი აზრით არის საუკეთესო დამრიგებელი, საუკეთესო მასწავლებელი და საუკეთესო მეგობარი, რომელსაც შემიძლია ყველაფერი გავუზიარო...

ელენე რობაქიძე: ჩემი დამრიგებელი არის თბილი, მოსიყვარულე, ყოველთვის გვაფრთხილებს და გვარიგებს, რომ არ უნდა მოვიქცეთ ცუდად, კლასელებს უნდა გვქონდეს კარგი ურთიერთობა, რომ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, არ უნდა ვიზარმაცოთ და ვისწავლოთ კარგად.

ის ძალიან კარგად გვიხსნის გაკვეთილს და სიამოვნებით ვსწავლობ...

მართლაც, არაფერია იმაზე დიდი ბედნიერება მასწავლებლისათვის, როცა მოსწავლეებისგან სიყვარულს, პატივისცემას და ასეთ შეფასებას მიიღებს...

იამზე მასწავლებელს ამ დღეებში მოსწავლეებმა დედის დღე და 8 მარტი მიულოცეს და იებიც მიართვეს...

„თერჯოლა“ უერთდება მილოცვას, ქალბატონ იამზეს და ალისუბნის №1 საჯარო სკოლის ყველა ქალბატონ მასწავლებელს ულოცავს გაზაფხულის დღესასწაულებს, უსურვებს წარმატებებს და მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრებასა და მოღვაწეობას...

მზია ცქიფურიშვილი

გაზაფხული, დედის დღე და 8 მარტი ერთად მოგვილოცნია!

გაზაფხულის პირველი დღესასწაულები, პირველი ყვავილები და ქალი

...ირგვლივ გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა, კარგა ხანია ამოჭრა იამ და გაზაფხულის მახარობელმა სხვა ყვავილებმა. თითქოს ნიშანდობლივია—გაზაფხულზე, ბუნების გაღვიძების ულამაზეს დროს აღინიშნება ქალთა დღესასწაულები—დედის და ქალის დღე—3 და 8 მარტი.

ქალი, დედა, და, მეუღლე, შვილი, სატრფო, მეგობარი—ქალის გარეშე არ არის სიყვარული, უდედოდ დაბადება და სიცოცხლე...

ქალი ყოველთვის იყო და არის თავისი ქვეყნის აქტიური მშენებელი. ისინი დასაქმებულნი არიან თითქმის ყველა სფეროში, მთელ თავის ნიჭს, ენერგიას ქვეყნის სამსახურს ახმარენ.

რაიონში, მის ფარგლებს გარეთ დროებით მცხოვრებ ყველა ქალს ვულოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს—3 და 8 მარტს და დიდ ბედნიერებას ვუსურვებთ პირად ცხოვრებაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში, დიდხანს სიცოცხლე ჰქონდეთ და მრავალი მარტი გაუთენდეთ.

„ჰაუ, რა კარგი დღე არის, ჰაუ, რამდენი ქალია“

თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურ ცენტრში და ოცდაექვს საბავშვო ბაგა-ბაღში სულ ქალები მუშაობენ: დირექტორები, მეთოდისტები, სპეცპედაგოგები, აღმზრდელ-პედაგოგები, მუსიკის პედაგოგები, ფსიქოლოგები, აღმზრდელის თანაშემწეები, მედდები, მნეები, სხვა დამხმარე მუშაკები, სულ 475 მშვენიერი ქალბატონი, ბავშვებზე, საქმეზე, ოჯახზე შეყვარებული, ათასოთხმოცი აღსაზრდელის მეორე მშობლები.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კეთილმოწყობილი, ნათელი და კრიალა ოთახები ყოველ სამ და რვა მარტს, პატარების მიერ დაკრეფილი მინდვრის ყვავილებით ივსება, სულ პატარებსაც უჭირავთ იის კონები, დედის ან უფროსი და-ძმის მიერ დაკრეფილი.

რომ არა პანდემია, წელსაც, ბაგა-ბაღებში მომუშავე რამდენიმე კაცი თანამშრომელი, პირველები აიღებდნენ ჭიქას და ქალებს დალოცავდნენ, ლამაზ სიტყვას არ დაიშურებდნენ, მაგრამ ძნელია თქვა ქალის ქება „სულ ქვეყანა რომ მოგროვდეს“ მაინც.

***

ყოველწლიურად უმჯობესდება ბაგა-ბაღების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა, იზრდება დაფინანსება. ბაგა-ბაღების ბიუჯეტი წელს 3 000 000 ლარია, ხელფასებში 2 585 940 ლარი გაიხარჯება, კვებაში 400 000 ლარი, ბოლო წლებში აშენდა რამდენიმე ახალი შენობა, იზრდება სარემონტო სამუშაოების მოცულობა, შენდება საზანოსა და თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის შენობები, მშენებლობა წელსვე დამთავრდება.

***

ბაგა-ბაღებში იციან თავიანთი საქმე. სხადასხვა დროს, პანდემიამდე აქ ჩატარებული ღონისძიებები ხიბლავდა მაყურებელს. მის ორგანიზებაში ჩადებული იყო დიდი შრომა, მონდომება, საქმისადმი დამოკიდებულება და სიყვარული. ეს ღონისძიებები ხელს უწყობს ბავშვებში გონებრივი, ჰიგიენურ-ესთეტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ერთმანეთისა და ადამიანებისადმი პატივისცემას, სამშობლოსადმი სიყვარულს, ცუდი საქციელის დაგმობის გრძნობას და რაც მთავარია, იღებენ განათლებას, რათა სკოლაში მომზადებულნი მივიდნენ, ჰქონდეთ მზაობა პირველკლასელობისათვის.

***

სკოლამდელი სწავლების საკითხი ყოველთვის იყო პედაგოგთა ინტერესების სფერო. პედაგოგიკის კლასიკოსები ამუშავებდნენ საინტერესო თეორიულ დებულებებსა და პრაქტიკულ მოსაზრებებს სკოლამდელთა სწავლების საკითხებზე. ნაშრომში „დედობრივი სკოლა“ მოცემულია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სწავლა-აღზრდის ვრცელი სისტემა, საფუძვლიანად დამუშავებული პროგრამებისა და მეთოდიკის სახით, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა, თუმცა დროდადრო იყო და არის სხვა რეკომენდაციები: სწავლება, საუბრები, სავარჯიშოები, თამაში, აღმზრდელისა და მშობლის როლი, თავისუფალი აღზრდის იდეა. თერჯოლელი აღმზრდელ-პედაგოგები ბევრ მეთოდს იცნობენ, ინოვაციური მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს ბავშვების სწორად მომზადებას სკოლისა და ცხოვრებისათვის.

***

გვახსოვს პერიოდი, როცა კანონმა „განათლების შესახებ“ სკოლამდელი აღზრდა გამოიყვანა განათლების სისტემიდან, მოიხსნა ცენტრალური დაფინანსება. იყო რაიონები, სადაც დაიხურა ბაგა-ბაღები, 2006 წლიდან ბაგა-ბაღების მართვა ადგილობრივ ხელისუფლებას დაექვემდებარა. ბევრგან ქაოსი იყო, თერჯოლაში არცერთი ბაგა-ბაღი არ დახურულა, თუმცა იყო გაჭირვების პერიოდებიც, ადგილობრივ ხელისუფლებას აღსაზრდელთა მშობლებიც შეეშველნენ, აღმზრდელ-პედაგოგებიც „მცირეს“ სჯერდებოდნენ და გადარჩა ბაღები, შენარჩუნდა შენობები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანდათან იმატა ბაგა-ბაღებისათვის გამოყოფილმა თანხებმა. ახალა მდგომარეობა შეცვლილია, მაღალია ბიუჯეტი, სწავლება კი ისეთია, რომელიც ითვლება ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე და ეფექტურ მოდელად.

***

სკოლამდელი აღზრდის თერჯოლის მუნიციპალური ცენტრის, ოცდაექვსი ბაგა-ბაღის ოთხასსამოცთათხუთმეტი ქალი დგას „დედობრივი სკოლის“ აღზრდის სამსახურში, გამორჩეულები, კარგები, სულით და ხორცით ლამაზები. თითოეულზე შეიძლება ორიოდე სიტყვის თქმა და ძნელი აღმოჩნდა არჩევანი. გამოსავალი ასე მოიძებნა—ბაგა-ბაღებში ყველაზე ასაკოვანი და ყველაზე ახალგაზრდა ამოვარჩიეთ.

„შენ სხვა ხარ და ქება სხვაა, უშვერია ზრახვა მისი“

ბაგა-ბაღების ასაკოვანი ქალბატონი

ჭოგნარის საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი დენიზა აფრიდონიძე-სვინტრაძე, ქალთა დღეს არის დაბადებული, სამოცდათექვსმეტი წლის გახდა და კვლავ ახალგაზრდული შემართებით აკეთებს საქმეს—სახლშიც და სამსახურშიც. ბავშვობიდან შეეჩვია შრომას, მაგალითს მშობლები გიორგი აფრიდონიძე და ჟენია მარუაშვილი აძლევდნენ. ქალბატონი დენიზა ადრე დაქორწინდა, ბედი თანაკლასელ ამირან სვინტრაძეს დაუკავშირა, ბედს ხანგრძლივ არ გაუხარებია, ამირანი ქორწინებიდან სულ რაღაც შვიდ წელიწადში საწარმოო ავარიის შედეგად დაიღუპა. მცირეწლოვანი შვილები დარჩა—4 და 5 წლის. მამით ობლებს დედამთილ-მამამთილის ალექსანდრე და ფატულა სვინტრაძეებს, მაზლების ავთოს და ტრისტანის ყურადღებით და დახმარებით დენიზას საცხოვრებელი სახლი აუშენეს. დენიზა იხსენებს—ახალ სახლში რომ გადავედით, ცხადია სახლდაზღვევის გადასახადი ჩემს გვარზე მოვიდა, შვილებმა ძალიან განიცადეს, სახლი ჩვენია, ბაბუამ და ბიძებმა აგვიშენეს, აფრიდონიძის საიდან არისო.

და დაიზარდნენ შვილები: ალექსანდრე და ზვიადი. ბებია-ბაბუის და ბიძების მზუნველობის ქვეშ და მამის გადიდებულ სურათთან, უმაღლესი განათლება მიიღეს, კარგი მშენებლები დადგნენ, კარგი ოჯახები შექმნეს. ალექსანდრეს მეუღლე და ორი შვილი—თამთა და ამირანი ჰყავს, ქუთაისში ცხოვრობს და მუშაობს. ზვიადი ჭოგნარში ცხოვრობს დედასთან მეუღლესთან და ორ შვილთან სანდროსთან და ილიასთან ერთად.

შვილებმა „აიძულეს“ დენიზას გვარი შეეცვალა, სვინტრაძე გახდა და გაიხარეს შვილებმა.

დენიზა სვინტრაძე უმაღლესი განათლებითაა, მუშაობდა ჭოგნარის №2 ბიბლიოთეკაში გამგედ, 1980 წლიდან ჭოგნარის ბაგა-ბაღის აღმზრდელია, ოცდაშვიდი წელი ემსახურა საყვარელ საქმეს, ასეულობით მოზარდმა გამოიარა მის ხელში, იცხოვრა ბავშვების სიყვარულით, მისთვის 2007 წელი მტკივნეული იყო, რეფორმა პენსიონერების შესახებ მასაც შეეხო, უმუშევარი დარჩა, მერე ყოველ დიდ ღონისძიებებზე იწვევდნენ, ხარობდა და იმავდროულად სევდა ისადგურებდა მის გულში, უჭირდა ბაღთან განშორება, ბავშვების ჟრიამულის გარეშე ცხოვრება. ბედნიერი მაშინ იყო, როცა უფროს ჯგუფს სკოლისაკენ ისტუმრებდა, გამოსათხოვარ სიტყვებს ეუბნებოდნენ. ერთი აღსაზრდელი გიორგი ასე დაემშვიდობა თურმე—„დიდი მადლობა სითბოსა და სიყვარულისთვის, თქვენ ხომ ხანდახან ბებიასაც გეძახდით“. სამუშაოდან განთავისუფლების ორი წლის შემდეგ, 2009 წელს რაიონის მაშინდელმა გამგებელმა, ბაგა-ბაღების ხელმძღვანელობამ, ჭოგნარის სოფლის დეპუტატმა დასაშვებად ჩათვალეს დენიზას ბაღში დაბრუნება.

ახლა ისევ ბედნიერია, ყოველდღე მიდის ბაღში, სიხარულით და სიყვარულით ეგებებიან პატარები, პატივისცემით თანამშრომლები, ასე მიილია ბაღში მუშაობის 42 წელი.

დენიზა მიღწეული წარმატებისათვის მრავალჯერ არის დაჯილდოებული, მიღებული აქვს მადლობები, სერთიფიკატები... მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მისთვის სიყვარულია— აღსაზრდელების კარგ პიროვნებად ჩამოყალიბება...

ბაგა-ბაღების ყველაზე ახალგაზრდა ქალბატონი

„ვწუხვარ, რომ პანდემიის გამო, ისე ვეღარ ვიხუტებ გულში ჩემს პატარებს, როგორც ადრე“—თქვა ახალთერჯოლის ბაგა-ბაღის ძიძა-სანიტარმა სოფიკო ბერაძემ და ამით მათდამი უსაზღვრო სიყვარული გამოხატა. ბაგა-ბაღებში ძიძის პოზიცია გულისხმობს ყველაზე ახლო ურთიერთობებს აღსაზრდელებთან და მუშაობის სულ რაღაც ორი წლის მანძილზე სოფიკომ „ისწავლა“ ბავშვთა აღზრდა-განვითარებისათვის საჭირო პროგრამები, მეთოდიკა და ყველაზე მთავარი დედობრივი მზრუნველობა, რაშიც მას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ სამმა პატარამ, რომელსაც სახლში ზრდის. თბილისში დაბადებულმა და გაზრდილმა ადრეულ ასაკში შექმნა ოჯახი, ბედი ახალთერჯოლელ ზაზა დევიძეს დაუკავშირა.

ბედნიერი ოჯახი აქვს სოფიკოს, კარგ გარემოში ცხოვრებაც უწყობს ხელს სული და გული ჩადოს საქმეში—პატარების აღზრდაში. სამი პატარა „ანგელოზი“, როგორც თვითონ უწოდებს შვილებს—დემეტრეს, ლაზარეს, ნინის, რომელმაც ოჯახისათვის როგორც ნანატრმა „გაზაფხული“ მოიყვანა, ბაღში იზრდებიან. სოფიკოს სამი შვილი ჰყავს და ჯერ სულ რაღაც—ოცდაექვსი წლისაა.

სოფიკოს სამედიცინო კოლეჯი აქვს დამთავრებული და უნდოდა პროფესიაშიც ეცადა ბედი, მაგრამ ბედმა ბაგა-ბაღში მიიყვანა და ახლა კმაყოფილია, ბაღს მეორე ოჯახად თვლის, უყვარს თანამშრომლები, განსაკუთრებით ბავშვები, მათ მშობლებთან მუდმივი კავშირი—ურთიერთობა აქვს და ამბობს—ბაღის აღსაზრდელებთან ჩემი დამოკიდებულება ისეთივეა, როგორც შვილებთანო.

სოფიკო არ არის მარტო ძიძა-სანიტარი, იგი კარგად იყენებს პროფესიას, აკონტროლებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას, თითქოს წინასწარ გრძნობს, როგორ გუნება-განწყობაზე არიან. ბავშვები, რომლებიც კარგი და გულისხმიერი ძიძის ხელშია, ადვილად განეწყობიან მოსასმენად და ცოდნის მისაღებად. სოფიკო ეხმარება პედაგოგებს აღზარდოს მოზარდებში ის პიროვნული თვისებები, რაც მომავალ მოსწავლეს სჭირდება, აჩვევს მათ დისციპლინირებულობას, ორგანიზებულობას, გულმოდგინებას, სიძნელეების დაძლევას...

სოფიკო ბერაძე კმაყოფილებას გამოხატავს ბაგა-ბაღის თითოეული თანამშრომლის მიმართ, ამბობს, რომ, როგორც ყველაზე ახალგაზრდას გვერდში დაუდგნენ და ასეა ახლაც... სოფიკოც ასეთია მათთვის.

ჟუჟუნა ცხადაძე

გაზაფხული, დედის დღე და 8 მარტი ერთად მოგვილოცნია!

ქალთა საბჭოს მორიგ შეხვედრაზე

სულ რამდენიმე თვეა, რაც თერჯოლაში დაფუძნდა და ფუნქციონირებას შეუდგა თერჯოლის ქალთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში თავი მოიყარეს ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსეულმა ქალბატონებმა სხვადასხვა სფეროდან.

ეს არის სრულიად აპოლიტიკური, არაკომერციული, საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ქალბატონების ერთობა, რომლის კორდინირებას წარმართავს ასევე საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, თერჯოლელთათვის კარგად ცნობილი, თავის საქმიანობით და აქტივობით გამორჩეული ქალბატონი ეთერ ტურავა.

„გვიტევს პანდემია, რომელმაც სამყარო დააჩოქა, ამიტომაც გვჭირდება ერთმანეთის სიყვარული და თანადგომა, აღნიშნა ქალთა საბჭოს პირველ შეხვედრაზე ეთერ ტურავამ, გვჭირდება ერთმანეთს გავუთბოთ გულები, ერთად ვიღვაწოთ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ხვალინდელი დღისთვის, რომელიც აუცილებლად გათენდება...

ჩვენ, დედებს, ქალბატონებს ყველაზე მეტად ხელგვეწიფება მშვიდობისა და მიმტევებლების დესპანის როლში ყოფნა და კიდევაც უნდა ვიტვირთოთ, ეს მისია.

თერჯოლის ქალთა საბჭო მოწოდებულია ჩვენი მუნიციპალიტეტის ქალბატონთა საზოგადოებრივი ცხოვრება და პროფესიული საქმიანობა გააცნოს სხვა მუნიციპალიტეტების ქალბატონებს,—აღნიშნა მან.

ქალთა საბჭოს მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ საზოგადოებას პერიოდულად მიეწოდება ინფორმაცია სოციალური მედიის საშუალებით.

თერჯოლის ქალთა საბჭო დაფუძნების დღიდანვე ჩაერთო საერთაშორისო კამპანიაში „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. ეს არის კამპანია, რომელიც 1991 წლიდან მთელ მსოფლიოში აღინიშნება 25 ნოემბრიდან და სრულდება 10 დეკემბერს, ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს, კამპანია მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ქალთა მიმართ ძალადობაზე, არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებზე.

სტატისტიკური მონაცემებით მსოფლიოში ყოველი 4 ქალიდან 1 ძალადობის მსხვერპლია. 1,5 მილიონი ადამიანი განიცდის ყოველწლიურად ძალადობას, დაახლოებით 520 ადამიანი იღუპება ძალადობის მიზეზით. ეს შემაშფოთებელი სტატისტიკაა... დავარღვიოთ დუმილი და ავიმაღლოთ ხმა ძალადობის დასამარცხებლად.

ჩვენ ეს შეგვიძლია!

ჩვენ ეს გვევალება!

ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ!

ასეთი იყო თერჯოლის ქალთა საბჭოს პოზიცია.

UNESCO ქართული კულტურული მემკვიდრეობა—ასე ერქვა აქტივობას, რომელიც პირველ მარტს ქალთა საბჭოს მორიგ შეხვედრაზე იქნა წარმოდგენილი. მანამდე კი ქალბატონებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს სოლიდარობა უკრაინელი მოსახლეობის მიმართ და პატივი მიაგეს რუსეთ-უკრაინის ომში დაღუპულთა ხსოვნას.

„გვინდა ფართო საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ქალთა საბჭო, რომელსაც უკვე საუკუნოვანი ისტორია აქვს შეტანილია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში „საზოგადოებრივი გამოცდილებით“, შესაბამისად, ჩვენ, როგორც ახალფეხადგმულ ქალთა საბჭოს არ გვაქვს უფლება თუნდაც ერთი აქტივობა არ მიგვეძღვნა კულტურული მემკვიდრეობისათვის, აღნიშნა შესავალ სიტყვაში ეთერ ტურავამ.

„კულტურული მემკვიდრეობა ქვეყნის ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული გარემოა, კულტურის ის ნაწილია, რომელმაც საზოგადოების განვითარების პროცესში დაიმკვიდრა და შეინარჩუნა თავისი ფასეულობებისა და ღირებულებების მნიშვნელობა და მესაკუთრენიც ყველანი ვართ. აქედან გამომდინარე კულტურული მემკვიდრეობა გვაკავშირებს წარსულთან, მყარ საყრდენს გვაძლევს აწმყოსათვის და გვიკვალავს გზას მომავლისაკენ.

საქართველო დიდი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყანაა, რომელსაც მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა გააჩნია. მარტო ქართული ენა და მისი სიდიადე რად ღირს, ეს არის ენა, რომელიც კურთხეულია თვით „ბიბლიაში“, ამ წიგნთა წიგნში“, „...და ენაი ესე შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა“.

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც „დედა-ენას“ ძეგლი დაუდგა, თუნდაც ეს ფაქტი მიანიშნებს იმაზე, თუ ქართველი ხალხი როგორ ეთაყვანება თავის კულტურულ საგანძურს...

ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა მკაფიოდ მეტყველებს, რომ საქართველო არა მხოლოდ ევროპის ნაწილია, არამედ უდიდესი წვლილი მიუძღვის მისი ღირებულებების შექმნაში. სწორედ კულტურული მემკვიდრეობით გაიცნო მსოფლიომ და ხელახლა აღმოაჩინა საქართველო, როგორც უნიკალური ქვეყანა, განსაკუთრებული ისტორიითა და მდიდარი ფესვებით“—აღნიშნა მან.

ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით პრეზენტაციები წარმოადგინეს ღვანკითის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: თათია ქარქაშაძემ, მარიამ გავაშელაშვილმა, ნატალი ბუსკივაძემ, ქრისტინე რობაქიძემ და მარიამ ცერცვაძემ. იყო საინტერესო მიმოხილვები და შეკრების მონაწილეებს ჰქონდათ საშუალება მონიტორიდან კიდევ ერთხელ თვალი შეევლოთ ისტორიული ფასეულობებისათვის, რომლებმაც საუკუნეები გამოიარეს. ამასთან, საბჭოს წევრები, საინტერესოდ ერთვებოდნენ ამა თუ იმ ძეგლის მნიშვნელობის წარმოდგენაში.

საბჭოს წევრებმა მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ პრეზენტაციებს და მოსწავლეები აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს. ეთერ ტურავამ მადლობა გადაუხადა მათ, რომ დაძაბული დღის რეჟიმის მიუხედავად გამონახეს დრო, ასევე მადლობა გადაუხადა ღვანკითის საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ინგა ჯალიაშვილს და ამავე სკოლის პედაგოგს მადიმი დოლაკიძეს. მადლობა გადაუხადა აგრეთვე საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს, სადაც კიდევ ერთხელ დაუთმეს საკონფერენციო დარბაზი.

და ბოლოს: თერჯოლის ქალთა საბჭო შეუერთდა საქართველოს ქალთა საბჭოს მიერ ორგანიზებულ აქციას „ვეხმარებით უკრაინას“ და შეგროვებული თანხა უკვე ჩაირიცხა შესაბამის ანგარიშზე...

და ეს არ იყო ყველაფერი, 1 მარტს ქალთა საბჭოს შეხვედრაზე საბჭოს წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეცნოთ ახალგაზრდა, ქველმოქმედი ქალბატონი, რომელიც თავის მცირეწლოვან შვილებთან ერთად მეგობრების და ახლობლების დახმარებით ქველმოქმედებას ეწევა... ამ ქალბატონს ჩვენს მკითხველს უახლოეს ნომერში გავაცნობთ.

მზია ცქიფურიშვილი

ჩვენი მანანა წერეთელი

„თერჯოლის“ მრავალრიცხოვანმა მკითხველმა მის ნიჭიერ ნაწერებს უმალ დაადგა თვალი. გავიხარეთ ქურაგამოვლილმა კოლეგა-ჟურნალისტებმაც.

მანანა წერეთელმა რედაქციაში რაღაც ახალი მოიტანა.

თურმე, როგორ გვჭირდებოდა! მერე...

ყველას გული დაგვწყდა, როცა პროფესიით პედაგოგს, მაინც სკოლისკენ გაუწია გულმა.

გმადლობთ მანანა, რომ იყავი ისეთი, როგორიც იყავი!

გილოცავთ დედის დღეს და ქალთა დღეს, რა თქმა უნდა ჟურნალისტიკის დღესაც!

შენ ზენაარმა დაგანათლა გახარებულმა (და სევდიანმა...) იარო გზა-ბილიკებზე და სიკეთე თესო.

კოლეგა ჟურნალისტები

დედას

ისე ახლოა შენი სუნთქვა, ისე ნათელი,
თითქოს საყდარში იწვებოდეს წმინდა სანთელი.
შენც სანთელივით იღვენთები, ჩუმად იწვები,
რომ ქედმაღალნი დადიოდნენ შენი შვილები.
ხარ დახუნძლული სილამაზის უხვი მტევნებით,
ცისარტყელები შენს წილ ცაზე ფერხულს უვლიან,
რაიც აღგავსებს სასიცოცხლო ძალით, ულევით,
შთამომავალის უსაზომო სიყვარულია.
ვინ იცის დაღლა, თავგანწირვა შენზე უმეტეს,
ვინ იცის ფასი ერთგულების შენზე ძალიან,
შენ მხოლოდ ჩვენით ხარ დაღლილი და დაუღლელი
და საკუთარი სამყაროსთვის აღარ გცალია.
შვილიშვილებმა გულის გულში დასცეს კარავი,
ხომ მიგიკუთვნეს, სიყვარულის ზღვაში გაგბანეს.
გულში ჭრილობას რომ მალავდი, ხომ გაგიმრთელეს,
შენი ბავშვობის ზღუდეებსაც ხომ მიგაახლეს.
ისევ ივსები სიყვარულის ტკბილი ნექტარით,
მოაფრქვევ ნათელს, გვიიოლებ დღეებს ყინვიანს.
შენი მთავარი საფიქრალი ჩვენი დილაა.
შენი მთავარი გამოცანა ჩვენზე ფიქრია.
იქნებ გათენდეს ისეთი დღე, შენ რომ შენატრი,
და აიკინძონ კრიალოსნად ლაღი დღეები.
ვით შემოგბედო, უძვირფასესს, დამიბერდიო,
ჩვენს სიყვარულში შენ არასდროს არ დაბერდები.

გაზაფხულია

ვაშლის ყვავილი სასმისებს მაწვდის,
დამათრობელი ნექტარით სავსეს,
ცას სარკესავით ჩავცქერი თვალში
და ისიც ნაზი ცისფერით მავსებს.
სული, უძღები, დატოვებს სხეულს,
მცირე ჭურჭელში ვეღარ ეტევა.
გული ფართხალებს სისხლის გუბეში,
ვერ უძლებს იის შემოფეთებას.
თეთრ ტახტრევანზე მზე ყელს იღერებს,
და მიწაც ძალუმ მხრებს ათამაშებს,
მოგელავს ეტლი ამაყ დედოფლის
და გზა-ბილიკებს მოამარმაშებს.
ფანჯრის წინ ტოკავს იასამანი,
ალესილ სხივებს ფხაზე ეჭრება,
მერცხლის ბუდეზე შემოსკუპულა
კვლავ დაბრუნების ბედნიერება.
კრთიან კვირტები და ფეთქდებიან
ყალყზე შემდგარი ურა კვიცივით.
სულს მინავლებულს და სხეულს, დაღლილს,
კვლავ გამინედლებს იის სიცილი.

სამწუხარო ამბები...

მიხეილ მაჩიტიძე

ამ დღეებში რიკოთის უღელტეხილზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელსაც იმერეთის საპატრულო პოლიციის სამი თანამშრომელი ემსხვერპლა.

გარდაცვლილთა შორისაა თერჯოლელი **მიხეილ მაჩიტიძე.**

გავრცელებული ინფორმაციით, თანამშრობლებთან ერთად, იგი მთელი ღამე სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდა, დიდთოვლიანობის გამო რიკოთის მონაკვეთზე საგზაო მოძრაობას არეგულირებდა.

ცვლის ჩაბარების შემდეგ სახლში ბრუნდებოდ-

ნენ, როდესაც ავტომობილების გადამზიდი და პოლიციის ეკიპაჟის მანქანა ერთმანეთს შეეჯახა.

მწუხარებაში ვუსამძიმრებთ გარდაცვლილთა ოჯახებს, მეგობრებსა და ახლობლებს...

ნინიკაშვილები...

გორი-იგოეთის მონაკვეთზე, სოფელ შავშვებთან მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ოჯახის 4 წევრი ემსხვერპლა. არსებული ინფორმაციით, ავტობანზე მოძრავი მანქანა გზის სავალი ნაწილიდან

გადავარდა და ამობრუნდა.

გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილია კლინიკა "იმერმედის" ექიმი ვალერი ნინიკაშვილი, მისი მეუღლე თეა კაპანაძე, შვილი ნიკოლოზი და დედა.

ნინიკაშვილის მეორე შვილი, რომელიც ამავე ავტომობილში იმყოფებოდა, მძიმედ დაშავდა.

ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ ამ ტრაგიკული შემთხვევით ნინიკაშვილების ერთი ოჯახის წევრების გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ მათ ახლობლებს, მეგობარ-ნათესავებს, კლინიკა „იმერმედის" კოლექტივს.

გაზეთი „თერჯოლა"

კვეთა—ლიტურგიის პირველი ნაწილი

ჩვენი გაზეთი გარკვეული პერიოდულობით აშუქებს მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი მრევლისათვის დადგენილ წეს-კანონებს. ამჯერად მოგაწვდით განმარტებებს ლიტურგიის პირველი ნაწილის—კვეთის შესახებ.

კვეთა ლიტურგიის პირველი ნაწილია, როცა მზადდება მასალა წმიდა საიდუმლოს შესასრულებლად.

ძველად წირვაზე მოსულ ქრისტიანებს თან მოჰქონდათ პური და ღვინო ზიარებისათვის, ამიტომაც უწოდებენ კვეთას „პროსკომიდიას", რაც ბერძნულად ნიშნავს მოტანას.

წმ. ზიარების საიდუმლოს შესასრულებლად აუცილებელია პური და ღვინო. პური საჭიროა გაფუებული, რადგან სწორედ ასეთი პური იხმარა ქრისტემ საიდუმლო სერობაზე. გარეგნულად პური ანუ სეფისკვერი უნდა იყოს: 1. მრგვალი; 2. ორნაწილიანი, ქრისტეს ორბუნებოვნების აღმნიშვნელი, – ღვთაებრივისა და ადამიანურისა (თუმცა გამოიყენება ასევე ერთნაწილიანი სეფისკვერებიც); 3. თავზე გამოსახული უნდა ჰქონდეს ჯვარი, ნიშნად იმისა, რომ აღნიშნული პური ღვთისმსახურებისთვისაა განკუთვნილი; და 4. ჯვარზე უნდა იყოს გამოსახული შემდეგი წარწერა: „იესუ ქრისტე ძლევა", რაც იმას ნიშნავს, რომ ქრისტემ ყველას სძლია. ღვინო უნდა იყოს ყურძნისა, წითელი ფერის. ყურძნის იმიტომ, რომ თვით მაცხოვარი საიდუმლო სერობაზე ეზიარა ყურძნის ღვინით, რაც შეეხება წითელს – იგი სისხლის ფერია. კვეთისათვის საჭიროა ხუთი სეფისკვერი, რომელიც გვაგონებს მაცხოვრის მიერ ხუთი პურით ხუთი ათასის დაპურებას. ოთხზე გამოსახულია ჯვარი, ხოლო მეხუთეზე ღვთისმშობელი. ეს ხუთი სეფისკვერი ზომით აღემატება იმ სეფისკვერებს, რომლებსაც მორწმუნეები მოსახსენებლებთან ერთად საკურთხეველში აგზავნიან და როგორც წესი თითოეულ მოსახსენებელზე იგზავნება წყვილი სეფისკვერი: ერთი ღვთისმშობლისა—ცოცხლებზე და მეორე ჯვარი—მიცვალებულებზე.

წირვის დაწყების წინ მღვდელი იკეთებს ოლარს, დადგება დახურული აღსავლის კარის წინ ამბიონზე და კითხულობს ე.წ. „შემთხვევის ლოცვებს"; შემდეგ შედის საკურთხეველში, იმოსება სრული სამღვდელო შესამოსელით, იბანს ხელებს, რაც მის სულიერ სიწმიდესა და მზადყოფნას გამოხატავს წმ. საიდუმლოს შესასრულებლად (ძველად ღვთისმსახურნი ხელებს იბანდნენ წმ. შესაწირავის სამკვეთლოდან ტრაპეზზე გადასვენების წინ; ამიტომაცაა, რომ ახლაც, მღვდელმთავარი ხელს იბანს „ქერუბიმთას" გალობის დროს, დიდი გამოსვლის წინ). ამის შემდეგ მღვდელი მიუახლოვდება სამკვეთლოს და კვეთისათვის გამზადებული ხუთი სეფისკვერიდან ამოარჩევს საუკეთესოს, რომლიდანაც გარკვეული წესით ამზადებს ტარიგს, – შესაწირავ ძღვენს. ასამაღლებლის შემდეგ აღნიშნულ სეფისკვერზე ლახვრით სამჯერ გამოსახავს ჯვარს და წარმოსთქვამს სიტყვებს: „მოსახსენებლად უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესსა". ამის შემდეგ იგი ლახვრით სეფისკვერს ჩააჭრის გვერდებს და ამბობს ისაია წინასწარმეტყველის სიტყვებს: „ვითარცა ცხოვარი კლუად მიიგუარა..." და „ვითარცა ტარიგი წინაშე მრისველისა..." „სიმდაბლითა თვისითა სასჯელი მისი მიეღო", „ხოლო თესლტომი მისი ვინმე მიუთხრას", „რამეთუ აღებულ არს ქუეყანით ცხოვრება მისი..." (ისაია 53.7-8). შემდეგ ტარიგს ქვევიდან ჯვარის სახედ ჩაჭრის ამ სიტყვებით: „დაიკლვის ტარიგი ღვთისა აღმღებელი ცოდვათა სოფლისათა ცხოვრებისათვის სოფლისა ცხოვნებად", დაასვენებს ფეშხუმზე, მარჯვნიდან ლახვრით უგმირავს და ამბობს: „ერთმან მხედართაგანმან ლახურითა განაღო გუერდი მისი და მეყუსეულად გარდამოხდა სისხლი და წყალი, და რომელმან იხილა ჰსწამა და ჭეშმარიტ არს წამება მისი" (იოანე 19.34-35). ამ სიტყვებზე ბარძიმში ჩაასხამს ღვინოსა და წყალს და აკურთხებს შეერთებას.

მეორე სეფისკვერიდან ამოიღებს მოზრდილ ნაწილს ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის სახელზე და მოათავსებს ფეშხუმზე ტარიგის მარჯვენა მხარეს. მესამე სეფისკვერიდან ამოიღებს ნაწილებს ცხრა დასის სახელზე, რომელშიც შედიან: იოანე ნათლისმცემელი, წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მღვდელმთავარნი, მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი, უვერცხლონი, ღვთისმშობლის მშობლები და ყოველნი წმინდანნი, და ბასილი დიდი ან იოანე ოქროპირი, ვისი წირვაც იქნება შესასრულებელი. აღნიშნული ცხრა ნაწილი მოთავსდება ტარიგის მარცხენა მხარეს. მეოთხე სეფისკვერიდან მღვდელი ამოიღებს ორ ნაწილს: ერთს პატრიარქისა და მისი დასის სახელზე, ხოლო მეორეს – ღვთივდაცული ერის, მთავრობისა და მხედრობის სახელზე და ათავსებს ტარიგის ქვემოთ. მეხუთე სეფისკვერიდან ამოიღებს ერთ ნაწილს მიცვალებულთათვის. ამით მთავრდება კვეთა და მოიხსენიება როგორც ცოცხალნი, ისე მიცვალებულნი, ამოიღება ნაწილები შემოწირული სეფისკვერიდანაც და მოთავსდება ტარიგის ქვედა მხარეს.

მღვდელი აკურთხებს სასაკმევლეს, იღებს ვარსკვლავს, შემოატარებს სასაკმევლეზე და დაადგამს ფეშხუმს; ასევე შემოატარებს მცირე დაფარნებს საცეცხლურზე და დააფარებს ბარძიმ-ფეშხუმს, ხოლო დიდ დაფარნას – ორივეს. ამ მოქმედებათა შესრულებისას იკითხება საგანგებო ლოცვები. ამის შემდეგ მღვდელი კითხულობს საერთო ლოცვას წინადაგებული ძღვენისათვის, სადაც იხსენიებს როგორც შემომწირველთ, ისევე იმათ, ვისთვისაც შემოსწირეს. ბოლოს ხდება მცირე ჩამოლოცვა.

კვეთის შესრულებისას საეკლესიო ნივთებს და მოქმედებებს აქვთ შემდეგი სიმბოლური მნიშვნელობები:

ფეშხუმი ნიშნავს ცას, ვარსკვლავი – იმ სასწაულებრივ ვარსკვლავს, რომელიც ქრისტეს შობისას წინ უძღოდათ მოგვებს; მცირე დაფარნები ის სახვევებია, რომლებითაც ახლადშობილი ყრმა იესუ იქნა შეხვეული და ბაგაში მიწვენილი. დიდი დაფარნა – ის ტილოა, რომელშიც იყო შეხვეული იესუს გვამი. ბარძიმი ნიშნავს იმ ჭურჭელს, რითაც აზიარა ქრისტემ საიდუმლო სერობაზე; სამკვეთლო მოასწავებს ბეთლემის ბაგასაც, სადაც უფალი ჩვენი იშვა და კიდევ გოლგოთას, სადაც იგი იქნა ჯვარცმული. მთელი სეფისკვერი რისგანაც უნდა დამზადდეს ტარიგი ღვთისა, გამოხატავს ღვთისმშობელს, რომლისგანაც უნდა იშვას იესუ ქრისტე. როცა მღვდელი დებს სეფისკვერს ფეშხუმზე, იგი მოასწავებს მღვდელმთავარს, რომელმაც ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი შეიყვანა წმიდათაწმიდაში. ნაკვეთი ნაწილები ტარიგის გარშემო ფეშხუმზე ნიშნავს ეკლესიას, ქრისტეს მიერ დაფუძნებულს. კმევა კვეთისას ნიშნავს სულიწმიდის მადლის გადმოსვლას შესაწირავ ძღვენზე. საერთოდ მღვდლის მიერ წმიდა ტარიგის მომზადება გამოხატავს იესუ ქრისტეს შობასა და ჯვარცმას.

გავაშენოთ ვაზი!

ვაზზე იმდენი თქმულა და დაწერილა ყველას როგორ ჩამოთვლი. ჩვენ მხოლოდ ორი შევარჩიეთ: შოთა ნიშნიანიძე—ვაზის სიმფონია.

ქართლ-კახეთი ლეგენდაა, იმერეთი—ზღაპარი,
სამეგრელო ოცნებაა—გაფრენილი ფაფარი,
გურია კი სიმღერაა, ხოლო რაჭა-სიზმარი,
ყველა ერთად—ვენახია ჩვენი დასაფიცარი.

ახლა საყვარელ მწერალს ნოდარ დუმბაძეს მოვუსმინოთ.

იქნებ ვაზია სამშობლო! აბა, დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაჰკრიფო, თუ მაღლარია—ცაში ხელაპრობილმა. ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას, ლოცვა კი ისე არაფერს არ უხდება, როგორც სამშობლოს. განუზომელია ქართველი კაცის სიყვარული ვაზისადმი. დღენიადაგ თავს დალოლიავებს და ამიტომაც მიმართავს დამაშვრალი—„ვაზო შვილივით ნაზარდო“.

ვაზი იყო და რჩება ქართველი კაცის დოვლათის წყარო. განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებთან სამამულო ეკონომიკაში, ყველაზე დიდი წილი ღვინო მასალებს განეკუთვნება. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, გასულ წელს პირველად, მსოფლიოს 16 ქვეყანაში 5 მილიონი ბოთლი ღვინო გაიგზავნა ექსპორტის სახით.

ეს იმითაც იქნა განპირობებული, რომ გაიზარდა ხელისუფლებიდან ყურადღება მეზვრე-მევენახეებისადმი. სუბსიდიების სახით სოლიდური თანხები გაიცა ბიუჯეტიდან მწარმოებლებზე.

ექსპორტის ზრდა, რაც ეკონომიკის განმტკიცებას უწყობს ხელს, გვახარებს მით უფრო, რომ მასში სოლიდურია ჩვენს მუნიციპალიტეტში მევენახეობა-მეღვინეობის ფლაგმანის შპს „ხარებას“ წვლილი. საერთაშორისო კონკურსებზე მოპოვებული ჯილდოები თავისთავად მეტყველებს ამ საწარმოს პროდუქციის მაღალ ხარისხზე. აღსანიშნავია, რომ ნელ-ნელა, მაგრამ დიდის გულმოდგინებით იქმნება ვაზზე დასპეციალებული კოოპერატივები და ინდსაწარმოები. სულ უფრო ავითარებენ წარმოებას: კოოპერატივი „საზანოს

მარანი“, ინდმეწარმეები გივი ჩუბინიძე, გოგიტა მაკარიძე...

გივი ჩუბინიძემ ერთ ჰექტარზე გააშენა ისეთი უნიკალური ჯიში, როგორიცაა „ოცხანური“, გოგიტა მაკარიძემ—„მწვანე ციცქა“. არაერთი ენთუზიასტი მეღვინეა კვახჭირში, ნახშირღელეში. მათზე გვქონდა წერილები გაზეთის წინა ნომრებში.

ერთი სიტყვით, მიუხედავად მრავალი პრობლემისა, ქართველი კაცი მაინც გულმოდგინედ ერთგულებს ვაზს. ეს კულტურა და შესაბამისად დარგი მეღვინეობისა კიდევ უფრო აღმავალი რომ გახდება არ უნდა ლაპარაკი.

საიდან მოგვდგამს ასეთი სიყვარული ვაზისადმი? ზემოთ გაკვრით ვთქვით უკვე, უფრო დაწვრილებით კი ქვემოთ მოგახსენებთ და მასში არაერთ სასარგებლოს ნახავს, როგორც მწარმოებელი, ისე მომხმარებელიო ამ ღვთითკურთხეული სიხისა.

რომელ დროში ვინ არ აღუვლენდა ქებათა-ქებას ვაზს, ტაძრებსა და ეკლესია-მონასტრებში ვაზის ფოთოლი იყო ჩაწნულ-ჩაგრეხილი ჩუქურთმები. თავის მეცნიერულ გამოკვლევებში ვაზს დიდ ადგილს უთმობდა ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს ყოველ კუთხეში სულ განსხვავებული ყურძნის ჯიშები ყოფილა, ღვინის დაყენების წესიც-განსხვავებული. 400-ზე მეტი ჯიშის ვაზი გვქონია ამ პატარა ტერიტორიაზე. საინტერესო ის არის, რომ ყველა ჯიშს თავისი სახელი აქვს. ოთხასზე მეტი სახელწოდება ყურძნისა!

ივანე ჯავახიშვილს ჩამოთვლილი აქვს ზოგიერთი ჯიშის სახელწოდება და ამის წაკითხვაც კი სიამოვნებას გგვრის: რქაწითელი, თავცეცხლა, ოქროულა, ჩხავერი, თავკვერი, მტევანდიდი, ძელშავი, თითა, ჭოლყურძენა, სანთელა, ღრუბელა, მწვანურა, მელისკუდა, ხარისთვალა, ბედუშური, ყორნისთვალა, ჩიტისთვალა, მაჭკვატური, ვაწახური, კრახუნა, დევისთვალა, ბურმწალა, ფაჩნატა, მტრედისფეხა, მჟაველა, ბრელა, ვითრა, მწკლარტა, ქიწნური, ტვიშურა, ადრეულა, სათვალიო, ციცქა, ცოლიკაური, ოჯალეში, ალექსანდროული...

კითხულობ და მიხარია, სიამაყით მევსება გული, ყველას რას ჩამოთვლიო,—ამბობს ვახტანგ ჭელიძე თავის „ქართლის ცხოვრების ქრონიკებში“, ამიტომ მრავალფეროვანი და ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებული ღვინოები მოგეპოვება. ყურძნისა და ღვინის ამ საარაკო მრავალფეროვნებას უბრალო, თავშესაქცევი მნიშვნელობა კი არ აქვს—ღრმა პრაქტიკული და ეკონომიკური საფუძველი უდევს. ამიტომაც გამართლებულია ის განუზომლად დიდი შრომა, საოცარი გულმოდგინება და მოთმინება, რაც ამდენი ჯიშის ვაზის გამოყვანას სჭირდება.

უკვე მეცნიერულადაა დადასტურებული, რომ ღვინის სამშობლო საქართველოა. ბერძენი ქსენოფონტე, რომელმაც ძვ. წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში იმოგზაურა ამ ტერიტორიაზე, სადაც ქართველური ტომები ცხოვრობენ, გაკვირვებით შენიშნავს აქაური ღვინის სიმაგრესა და განსაკუთრებულ არომატს.

წყალგაურევლად არ შეიძლება მისი დალევაო. ძნელი სათქმელია ჩვენი წინაპრებიც ურევდნენ წყალს, ამაზე ბერძენი მოგზაური არას ამბობს, ეს კი ფაქტია, თანაც ყველასაგან დადასტურებული, რომ ღვინოს ზომიერად სვამდნენ და დაყენებაზე ნაკლები ხელოვნებით არც მისი მოხმარა იცოდნენ. ღვინის საქართველოში პატარა ჭიქებით სვამდნენ. ჭიქები უცხოეთიდან იყო შემოტანილი, მაინც ქართული ერქვა, სინამდვილეში, ჭიქა კი არ იყო ქართული, ამ ჭიქით სმა იყო ქართული.

დიდ ლხინებში ყანწებიც დატრიალდება ხოლმე, კარგა მოზრდილი ყანწები, მაგრამ ამას უფრო სიმამაცური მნიშვნელობა ჰქონდა, და ვისაც დალევა არ შეეძლო არც აძალებდნენ, ამიტომაც მთვრალი კაცი იშვიათი იყო, შეზარხოშდებოდნენ დიდ ლხინებში, ეს იყო და ეს. უფრო მეტად გახალისდებოდნენ. ქეიფის მთავარი არსი სმა კი არ იყო, მოლხენა იყო—სიმღერა, ცეკვა-თამაში, მოსწრებული სიტყვა-პასუხები. ერთხელ რომ დამთვრალიყო კაცი, ისე, რომ ფეხი არეოდა, მთელი სოფლის სამახსოვრო გახდებოდა, ლოთი შეერქმეოდა და ამ სახელს ძნელად თუ მოიშორებდაო (ვ. ჭელიძე, ქართლის ცხოვრების ქრონიკები).

ალბათ განმარტება აღარცაა საჭირო, რომ ყურძნის ასეთი მრავალფეროვანი ჯიშების გამოყვანას, ღვინის დაყენებას განუზომლად დიდი შრომა ენერგია, ცოდნა და საქმის სიყვარული სჭირდებოდა, ე.ი. ისევ და ისევ მაღალი კულტურა.

ჩვენ არაფერი გვითქვამს იმაზე, სად მიჰქონდათ ქართველებს ამდენი ღვინო, თუ თითონ ცოტას მოიხმარდნენ. გასაყიდად გაჰქონდათ ქვეყნის გარეთ. გადიოდა პროდუქცია და შინ კაპიტალი შემოდიოდა. გლეხიც მოგებული იყო და ქვეყანაც. და არა მარტო შორეულ წარსულში, აგერ, არცთუ შორს წინა საუკუნეში. 70-80-იან წლებში, მაშინ, როცა ყურძნის ფასი კილოგრამი 60-70 კაპიკი გახდა (1 დოლარი 0,65-0,70 კაპიკი იყო). ჩვენებური გლეხი არნახულად შეძლებული გახდა. რასაც ახლა ორსართულიან სახლებს ხედავთ, სწორედ მაშინაა აგებული.

გვაქვს დიდი იმედი იმისა, რომ მევენახეობის დარგისადმი, როგორც მთლიანად სოფლის მეურნეობისადმი, ხელისუფლების ყურადღება და დახმარება ერთი-ორად გაძლიერდება. შესაბამისად ყურძნის წარმოება მუნიციპალიტეტში და მთლიანად საქართველოში კვლავ მიაღწევს იმ ნიშნულს, რომელსაც აღმავლობის პერიოდებში ფლობდა.

გავაშენოთ ვაზი, ხვალინდელი დღე ვაზისაა!

კარგი სიტყვა კარგ ადამიანზე...

ჩაუმქრალი კერა

იყო ერთი მშვენიერი, ინტერნაციონალური ოჯახი ჩვენს კუთხეში—სოსო და ნადია კუპატაძეებისა. სოსო პროფესიით მშენებელი იყო. ის რომ აგურს აგურზე დააშენებდა ზადს ვერ უპოვნიდი, ნახელავი სიამეს მოგგვრიდა. თუ ერთ მადლიან მეზობელს ბიჭიკო რობაქიძეს „სვარკის“ სამუშაოებზე უხმობდნენ, სოსოს აუცილებლად რაიმეს ასაშენებლად დაუძახებდნენ და არ ყოფილა შემთხვევა ვინმე გაეწბილებინოს.

საკარმიდამო მეურნეობა ხომ აწყობილი ჰქონდა და აწყობილი. ვენახი გააშენა არაჩვეულებრივი, სიმინდს იწევდა ხვავრიელად. მისი ნალია პირთამდე იყო მუდამ გაძეძგვილი ლანდრა ტაროებით... მხარში უდგა მეუღლე. რუსეთში დაბადებული და გაზრდილი ორენბურგელი ქალბატონი ნადია კრუჩკოვა ისე დაეუფლა ჩვენებური კულტურების მოვლა-პატრონობას მისი გაფურჩქვნილი და მწვანე ოპერაციებჩატარებული ვენახის ნახვას არ ჯობდა არაფერი.

იუმორი ჰქონდა არაჩვეულებრივი ცხონებულ სოსოს, მახსოვს ერთხელ სტუმრები ეწვია, მეზობლებსაც დაგვიძახა და ეზოში გაშალა სუფრა. პატარა შეხურებული რომ ვიყავით, უცებ, შორიახლო თაგვმა გაირბინა და ძეძვებში მიიმალა. აუჰ, ეს რაა კაცო, თაგვები გყავსო? შეიცხადა ერთმა სტუმარმა, კი არისო, მიუგო მასპინძელმა, შენთან არ იქნებაო.

აჰ, არაო. თაგვი იქ ჩნდება, სადაც სიმინდია ბლომად, შენ საიდან გეყოლება, ტარო სიმინდი არ მოგიწევია, წიწილების საკვებზეც ბაზარში დადიხარო.

თავად, როგორც უკვე ვთქვით, ფუტკარივით შრომობდა ორივე ცოლ-ქმარი და ოჯახიც დოვლათით ჰქონდათ სავსე. ყველაზე დიდი სიმდიდრე კი ის 3 ქალ-ვაჟია, რომლებიც ამ ოჯახში აღიზარდა—ერთი გოგო და 2 ვაჟი. გოგონა საზანოში გათხოვდა და მშვენიერი ოჯახი შექმნა.

უფროსი ვაჟი ვალერი სამუშაოდ რუსეთში წავიდა, დედის მხრიდან, თავის ახლობლებთან.

გვეგონა მეზობლებს, რომ უმცროსი ვაჟი დათაც ჩემოდანს ჩაალაგებდა, მამაპაპისეულ სახლ-კარს ურდულს დაადებდა და სამუშაოდ ისიც რუსეთში წავიდოდა. საშინელებაა მიტოვებული სახლ-კარი (როგორც სხვაგან ჩვენს კუთხეშიც არის რამოდენიმე ასეთი, რომელთა ბინადარნი უცხოეთში გადაიხვეწნენ ლუკმა-პურის საშოვნელად) ჯერ ერთი ეზო-რიადაგე ვერანდება, მეორეც—სამეზობლო რომ მცირდება გული გიკვდება კაცს. ყველასდა გასახარად დათო არ წავიდა, შექმნა შესანიშნავი ოჯახი და აგრძელებს მშობლების ღირსეულ ტრადიციებს. მეუღლე, ხატია მაღლაკელიძესთან ერთად, ჯარასავით ტრიალებს, საათივით აქვთ აწყობილი მეურნეობა. ფურიცა ჰყავთ, ღორიც, კრუხ-წიწილაც... მთლად ისე არაა საქმე ზოგი რომ აბუქებს, თუ მოინდომებს კაცი სამუშაოს აქაც იშოვნი, მთავარია შრომა არ გეზარებოდეს და ნაშრომის ყადრი გაგაჩნდეს. დათოც და ხატიაც დასაქმებულია და ოჯახის ყულაბას ნამსახურითაც ავსებენ.

ამის წინ სუფრაზე მოვხვდით სამეზობლოში. ვიცი, ნადირობა უყვარს ძალიან და ვკითხე შენი ნანადირევის გემო დაგვავიწყდა, ვერ მოინადირე თუ აღარაფერია მოსაკლავი-მეთქი. ეჰ, წავიდა მაგ დრო მთელი დღე რომ გადავიკარგებოდი სანადიროდ, ახლა ყოველი საათი გათვლილი მაქვს, დამოუკიდებლად ოჯახის გაძღოლა არ ყოფილა იოლიო. იმ სახლში რომ ვარ, სადაც გავიზარდე, ასე მგონია ჩემი მშობლებიც აქვე არიან და მხარში მიდგანან. ისინი მაშინ მოკვდებიან, როცა ღმერთმა დაგვიფაროს და, ეს ეზო-რიადაგე დაცარიელდება. ამას არ ვიზამ. სამი შვილი მყავს, სამივე ვაჟები: გიორგი, იოსები და დემეტრე. დემეტრეს რა თქმა უნდა ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს მოვანათვლინებ. სამთავეს ოჯახის, კუთხე-მეზობლისა და მამულის სიყვარულს ვასწავლი. არ მეუბნებიან, მაგრამ ვგრძნობ ყველა მეზობელი კმაყოფილია იმით, რომ სოსო და ნადია კუპატაძისეული კერა ჩაუმქრალია და კვლავ ხმაურობს. დაე, ყველამ მეც გვერდით მიგულოს, რითაც შემეძლება მხარში ამოვუდგები. თავს არ დავიზოგავ. ეს ქვეყანა კვლავ სიყვარულმა უნდა ააშენოს.

გაზაფხული მოვიდა, მასთან ერთად ქალთა დღესასწაულები. დედის დღეს ვულოცავ ჩემს მეუღლეს ხატია მაღლაკელიძეს, გულითადად ვულოცავ ყველა დედას, ღმერთმა დედაშვილობის სითბო და სიყვარული არ მოაკლოთ.

გვერდის ავტორი
ი. ერაძე

დაბადებიდან 82-ე წლისთავს ვულოცავთ თერჯოლისა და ტყიბულის მიტროპოლიტს, მაღალყოვლადუსამღვდელოესს, მეუფე გიორგის

„თქვა უგუნურმან გულსა შინა თვისსა: არა არს ღმერთი. განირყუნნეს და ბილწ იქმნეს იგინი უშჯულოებითა; არავინ არს რომელმანცა ქმნა სიტკბოებაი. უფალმან ზეცით მოხედნა ყოველთა ზედა ძეთა კაცთასა ხილვად, იყოს თუ ვინმე გულისთქმისმყოფელ, ანუ გამომძიებელ ღმრთისა“ (ფს. 13.1,2).



თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტს მეუფე გიორგი შალამბერიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

მეუფე გიორგი 34 წელია მღვდელმთავრობის საპატიო, ამავე დროს უდიდეს საპასუხისმგებლო ტვირთს ატარებს, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ჩვენს ფრიად რთულ დროში, რადგან მსოფლიოს ტექნიკურ პროგრესს დიდად ჩამორჩება სულიერი განვითარება და ამ სხვაობის დაძლევა, ადვილად მისაღწევი ნამდვილად არ არის.

ათეისტური მმართველობის დროს საბჭოთა კავშირში, როდესაც მასიურად იდევნებოდნენ ქრისტიანები, ახალგაზრდა კაცმა, გური შალამბერიძემ გადაწყვიტა ქრისტიანული საეკლესიო ცხოვრების ღრმად შესწავლა და სასწავლებლად ლენინგრადში (დღევანდელ ქ. სანკტ-პეტერბურგში) ჩავიდა. მან ჯერ ლენინგრადის სასულიერო სემინარია, ხოლო 1971 წელს სასულიერო აკადემია დაამთავრა და სამშობლოში დაბრუნდა, სადაც მცხეთაში არსებულ სასულიერო სემინარიაში დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა.

1971 წლის 23 ნოემბერს, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესმა საჭეთმპყრობელმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ, იგი აკურთხა მღვდლად. 1971-74 წლებში მსახურებდა თბილისის, იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიაში. 1974-78 წლებში კი, ქუთაისის მოციქულთა თავთა პეტრეს და პავლეს საკათედრო ტაძარში.

1978 წლის 16 მარტს, მამა გიორგი დაინიშნა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორად და სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ. იგი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-12 ადგილობრივი საეკლესიო კრების ჩატარების ორგანიზებაში და მსვლელობაში. მხარს უჭერდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილიას.

1988 წლის 14 ოქტომბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, გამორჩეული იქნა ჭყონდიდის ეპარქიის ეპისკოპოსად.

მეუფე გიორგის მონდომებით და მოქმედებით, მრავალი კარგი საქმე გაკეთდა ჭყონდიდის ეპარქიაში, რომელიც, მთელი სამეგრელოს რეგიონს მოიცავდა. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, გაიხსნა ათეისტური მმართველების მიერ წლების წინ დაკეტილი ეკლესიები, იმატა მორწმუნე ადამიანთა რიცხვმა.

გაწეული ღვაწლისათვის 1992 წლის 21 დეკემბერს, ეპისკოპოსს გიორგის ებოძა მთავარეპისკოპოსობა. 2000 წლის 28 ნოემბერს, მიტროპოლიტობა. 2007 წლის 21 დეკემბერს, დაჯილდოვდა წმინდა გიორგის ორდენით. 2007 წლის 25 დეკემბერს, მიტროპოლიტი გიორგი დაადგინეს, ახლადშექმნილი თერჯოლის და ტყიბულის ეპარქიის მმართველად. ახალ ეპარქიაში მიტროპოლიტი გიორგი ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა სასულიერო ცხოვრების აღორძინებას, ეკლესია-მონასტრების აშენება-განახლებას, ახალი სასულიერო პირების კურთხევას.

მიტროპოლიტი გიორგი, წმინდა სინოდის უხუცესი წევრია. მისი ლოცვით და დაუღალავი შრომით, მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა. მისი ქადაგება სათნოების, შემწყნარებლობის, მოყვასის და სამშობლოს სიყვარულის, პატიოსნებისა და შრომისმოყვარეობის, განათლებისადმი სწრაფვის მოწოდებაა, რაც ასე სჭირდება დღეს ჩვენს ერს.

თქვენ, როგორც უხუცესი მიტროპოლიტი სულიერი მამა, თავმდამბლობის, სულგრძელობის და მოთმინების შესანიშნავ მაგალითს გვაძლევთ ყველას, თქვენს სულიერ შვილებს.

მხნეობა და ჯანმრთელობა ნუ მოგაკლოთ უფალმა.

თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის სასულიერო დასი

აკადემიკოსი ალექსანდრე წულუკიძე

ამონაწერი ვიკიპედიიდან

ალექსანდრე პეტრეს ძე წულუკიძე (დაიბადა 22 იანვარი, 1888, სოფ. კვახჭირი, ახლანდელი თერჯოლის მუნიციპალიტეტი —გარდაიცვალა 21 იანვარი, 1967, თბილისი— ქართველი ქირურგი-უროლოგი, მეცნიერული უროლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1925), პროფესორი (1930), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941), ლენინის, წითელი ვარსკვლავის და შრომის წითელი დროშის ორდენების მფლობელი, სსრკ-ის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1946), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955).

1913 წელს დაამთავრა ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის (უკრაინა) სამედიცინო ფაკულტეტი. 1916 წლიდან მუშაობს თბილისის ლაზარეთის ორდინატორად. ამავე წლიდან მუშაობდა გრიგოლ მუხაძესთან. 1922-1924 წლებში მივლინებით იმყოფებოდა პარიზის, ბერლინის და ვენის უროლოგიურ კლინიკებში. 1925 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1927 წელს ჩაუდგა სათავეში ახლადგახსნილ თბილისის № 1 კლინიკური საავადმყოფოს უროლოგიურ განყოფილებას. ამავე წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. 1930 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1930-1959 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრებს. ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ქირურგიის და შემდეგ უროლოგიის კათედრას. ასევე იყო საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილების თავმჯდომარე. 1949-1953 წლიდან იქნა არჩეული თბილისის ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორად.

1953-1965 წელს იყო მის მიერ დაარსებული უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (1967-იდან ინსტიტუტს მისი სახელი მიენიჭა). მეორე მსოფლიო ომის (1941–1945) წლებში მუშაობდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ ქირურგად. იყო უროლოგთა საკავშირო საზოგადოების საპატიო წევრი და სხვა. შეისწავლიდა შარდკენჭოვან დაავადებას, უროლოგიის, კურორტოლოგიის, ბაქტერიოლოგიის, მედიცინის ისტორიის საკითხებს. შეიმუშავა რამდენიმე ოპერაციის ორიგინალური ტექნიკა. ქართულ ენაზე შეადგინა უროლოგიის პირველი სახელმძღვანელოები.

არის 150-მდე სამეცნიერო ნაშრომის და 20-ზე მეტი მონოგრაფიის ავტორი.

წულუკიძეები ისტორიულად ცნობილი გვარია საქართველოში, მათი წარმომავლობა რაჭიდანაა. ალექსანდრეს ბაბუა, გიორგი სიმონის ძე წულუკიძე სამხედრო პირი იყო, შემდეგ, მომრიგებელ, შუამავლად მსახურობდა ოზურგეთში. აკადემიკოსის მამა პეტრე, გამრჯე მეურნე, მეცენატი და წიგნიერი კაცი იყო. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძელა საფრანგეთში, სადაც მიიღო აგრონომიული განათლება, სამშობლოში დაბრუნებისას კვახჭირში მამულები იყიდა და ამ სოფელში დასახლდა.

პეტრე წულუკიძე აქტიურად იყო ჩართული სასოფლო-სამეურნეო და ლიტერატურულ-საგამომცემლო საქმიანობაში. ალექსანდრეს დედა იყო, ოლღა ივანეს ასული გამრეკელი, განათლებული და გამრჯე ადამიანი. ოლღა უნერგავდა შვილებს სამშობლოს, ადამიანის, შრომის სიყვარულს.

სახელი ალექსანდრე, მას ნათლიის ალექსანდრე წერეთლის საპატივცემულოდ დაარქვეს, იგი პეტრეს უმცროსი დის, ელისაბედის მეუღლე იყო. პატარა ალექსანდრეს მეორე სახელი—ალეკო, დიდმა ქართველმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა დაარქვა. აკაკი წერეთელს და პეტრე წულუკიძეს დიდი მეგობრობა ჰქონდათ, აკაკი ხშირად სტუმრობდა მეგობარს კვახჭირში... ერთხელ მან დახედა ახალშობილს და ხმამაღლა თქვა: დღეიდან ალეკო ერქმევა... ასე დაენათლა ალექსანდრეს, დიდი აკაკისაგან მეორე მოფერებითი სახელი, ალეკო.

ალექსანდრე წულუკიძემ დაწყებითი განათლება, ცნობილი საზოგადო მოღვაწის პედაგოგის, მწერლის და პუბლიცისტის იოსებ ოცხელის სკოლაში მიიღო, შემდეგ კი სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში გააგრძელა, სამწუხაროა, იგი მალარიით დაავადდა და ჰავის შესაცვლელად მშობლებმა, ექიმის რჩევით თბილისში გადაიყვანეს სასწავლებლად. საბოლოოდ, სასწავლო კურსი, ქუთაისის გიმნაზიაში დაასრულა 1906 წელს. კვახჭირში, პატარა ალეკოს ახლო მეზობლის, ფილტვების ანთებით გარდაცვალებამ, მის მომავალ პროფესიაზე დიდი გავლენა მოახდინა, პატარა ბიჭს ფიციც კი დაუდვია, რომ ექიმი გამოვიდოდა.

ალექსანდრემ გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება ხარკოვის უნივერსიტეტში, რომელიც ერთ-ერთი მოწინავე უმაღლესი სასწავლებელი იყო, ამავე დროს იქ სწავლობდა მისი ბიძაშვილი ნიკოლოზ (კაკო) გამრეკელი, შემდეგში ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, სამწუხაროდ, ალექსანდრე ხარკოვში ვერ მოხვდა. იგი ჩაირიცხა დღევანდელი ქ. ოდესის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველ კურსზე, 1908 წლიდან კი, ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

სტუდენტური ცხოვრება რთული იყო, ამ დროს დაოჯახდა იგი ელენე ნებედიქტეს ასულ სტოლიაროვაზე, სტუდენტი ოჯახს მოკიდებული ალექსანდრე, დამატებით შემოსავლის მიღების მიზნით ლექციებს კითხულობდა მახლობელ ქალაქებსა თუ დაბებში.

1913 წელს ალექსანდრე წულუკიძემ დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და მუშაობა ჩრდილოეთ კავკასიაში დაღესტანში დაიწყო, სადაც საკმაოდ მძიმე ცხოვრება ჰქონდა.

მან მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომში ერთ-ერთ სანიტარული მატარებლის უფროს ექიმად. საომარ მძიმე მდგომარეობას უმსუბუქებდა მისი მეუღლე—ელენე, რომელიც მოწყალების დის თანამდებობაზე მუშაობდა. ომის სირთულეებით გადაღლილი ალექსანდრე, 1915 წლის ბოლოს, მეუღლესთან ერთად თბილისში ჩამოვიდა, ბევრი მცდელობის შემდეგ, მუშაობას იწყებს თბილისში, მიხეილის სახელწოდებით ცნობილ საავადმყოფოში, ქირურგიულ განყოფილებაში წლების მანძილზე იმაღლებდა პრაქტიკულ ცოდნას და გამოცდილებას, ისეთ ცნობილ ქირურგთან, როგორიც გრიგოლ მუხაძე იყო. ალექსანდრე წულუკიძე მას, პირველ მასწავლებლად თვლიდა.

ალექსანდრე წულუკიძე 1918 წლის 8 თებერვალს გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში დიდი მონდომებით და ენთუზიაზმით იწყებს მოღვაწეობას სამკურნალო ფაკულტეტზე პროფესორის უფროს ასისტენტად.

პროფესორ გრიგოლ მუხაძემ, უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დეკანად არჩევის შემდეგ, წამოაყენა წინადადება სამედიცინო ფაკულტეტზე შექმნილიყო უროლოგიის, ორთოპედიის, სტომატოლოგიის კათედრები. ამისათვის საჭირო შეიქმნა ახალგაზრდა ექიმის საზღვარგარეთ გაგზავნა. და აი, გრიგოლ მუხაძე შუამდგომლობს უნივერსიტეტის რექტორატის წინაშე: „გთხოვთ ჩემდამი რწმუნებული კლინიკის ასისტენტს ალექსანდრე წულუკიძეს მისცეთ მივლინება ერთი წლით საზღვარგარეთ—საფრანგეთსა და გერმანიაში უროლოგიის შესასწავლად და ზოგიერთი მეცნიერული საკითხის (ვაქცინოთერაპია, იმუნიტეტის გავლენა ქირურგიაში), გასარკვევად“. 1922 წელს ალექსანდრე წულუკიძე ბერლინში ჩავიდა. იგი მუშაობდა და კვალიფიკაციას იმაღლებდა გერმანიის, ავსტრიის და საფრანგეთის წამყვან სამედიცინო კლინიკებში. 1924 წელს ალექსანდრე საქართველოში დაბრუნდა და 1925 წელს ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია თემაზე „დიდი ბადექონის დამცველობითი თვისებები მუცლის ღრუს ორგანოების პათოლოგიური პროცესების დროს“.

1930 წელს ალექსანდრე წულუკიძე აირჩიეს, ახლადშექმნილი სამედიცინო ინსტიტუტის, სანიტარულ-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების ქირურგიის კათედრის გამგედ. ამავე წელს მიიღო პროფესორის წოდება.

1933 წელს გაიხსნა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, სადაც იგი ქირურგიული კათედრის გამგედ აირჩიეს.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ალექსანდრე წულუკიძე დაინიშნა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატის საევაკუაციო ჰოსპიტლების სამმართველოს მთავარ ქირურგად. იგი, მნიშვნელოვან სამედიცინო ხასიათის დაავადებებს ასრულებდა კავკასიის დაცვის ფრონტზე, ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს ალექსანდრე წულუკიძე აირჩიეს საბჭოთა კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1955 წელს პროფესორი ალექსანდრე წულუკიძე არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, 1955 წელს მისი უშუალო ინიციატივით გაიხსნა საბჭოთა კავშირში, პირველი უროლოგიური დისპანსერი თბილისში.

ალექსანდრე წულუკიძე თავისი საყვარელი სოფლის—კვახჭირის დიდი მოსიყვარულე და ქომაგი იყო. დახმარებას უწევდა ყველას, მან საკუთარი სახსრებით შეიძინა და გაუგზავნა სოფლის ამბულატორიას სამედიცინო ინვენტარი და აპარატურა.

ალექსანდრე წულუკიძე ერთ-ერთი პირველი სამედიცინო მოღვაწე და პედაგოგი იყო, ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. მისი აქტიურობით და ენერგიულობით დაარსდა ქართული სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოებები, მოწაფეების გადმოცემით, ალექსანდრე იყო მაღალი, წარმოსადეგი ვაჟკაცი, ოდნავ კეხიანი ცხვირით, ატარებდა სათვალეს, იცვამდა მაუდის კიტელს, ოფიციალურ შეხვედრებზე კი ევროპული კოსტუმი ეცვა, ბაბთიანი ჰალსტუხით. გამოირჩეოდა იმერული იუმორით, იყო სასიამოვნო მოსაუბრე, თუმც ფიცხი ხასიათი ჰქონდა. კარგად იცნობდა ქართულ და მსოფლიო ლიტერატურას, ისტორიას, მის კაბინეტში მაგიდაზე საპატიოდ იდო ილუსტრირებული ბიბლია ფრანგულ ენაზე.

იგი გულისხმიერი და ყურადღებიანი ექიმი იყო, დიდი გამოცდილება ჰქონდა და ამ გამოცდილებას უზიარებდა ახალგაზრდებს.

ალექსანდრე წულუკიძე გარდაიცვალა 1967 წელს. ალექსანდრე წულუკიძის სახელი მუდამ დარჩება უროლოგიის ისტორიაში, როგორც მეცნიერ-ნოვატორი, რომლის პრაქტიკულმა მოღვაწეობამ და სამეცნიერო კვლევა-ძიებამ წინ წასწია სამედიცინო-უროლოგიური სფერო. აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძის სახელობისაა, თბილისის უროლოგიის ეროვნული ცენტრი.

მამა ბასილი (კვინიკაძე)
გოდოგნის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის მღვდელმონაზონი

სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამა დაიწყო...

სოციალურად დაუცველი პირების, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო

პროგრამის ბენეფიციარები, 18 წლის და უფროსი ასაკის, შრომისუნარიანი პირები არიან, ვისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას.

დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული ბენეფიციარები, სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით ფინანსურ სარგებელსაც მიიღებენ, რომელიც ნამუშევარი საათების მიხედვით ანგარიშდება და 300 ლარს შეადგენს. საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისთვის გაცემული თანხა წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს, რომელიც არ იბეგრება.

საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაცი-



ის მქონე პირს შეუძლია. სამუშაოს მომწოდებლები კი სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები არიან.

საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში, ამ ეტაპზე, 14 382 ვაკანსიაა. ახალი ვაკანსიების რეგისტრაცია კი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

დასაქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებს შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებს, თუ სოციალურად დაუცველ პირს დასაქმება არ სურს, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა ყოველწლიური გადამოწმების შედეგების საფუძველზე მოხდება. თუმცა მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ნებისმიერ დროს შეეძლება.

პროგრამაში ჩართვის მსურველებს, დამატებითი ინფორმაციისთვის, სამინისტროს ცხელ ხაზზე - 15 05 დაკავშირება შეუძლიათ.

ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2022...

ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2022-ის შესარჩევი ტური, რომელიც მარტის თვეში უნდა დაწყებულიყო გადატანილია და სავარაუდოდ აპრილში გაიმართება.

ეროვნულ ფესტივალში მონაწილეობა შეუძლიათ:

- ავთენტიკურ ჯგუფებსა და სასოფლო ანსამბლებს
- ხალხური სიმღერის მუნიციპალურ და თვითმოქმედ ანსამბლებს
- ტრადიციულ ხალხურ საკრავთა ანსამბლებს
- საოჯახო ანსამბლებს (მუსიკა, ქორეოგრაფია)
- ქორეოგრაფიულ ანსამბლებს
- ინდივიდუალურ შემრულებლებს (სიმღერა, ცეკვა, საკრავი)
- მთქმელებს, ავტორ-მთქმელებს, შემკრებებს
- ხალხური რეწვის და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებს
- სახვითი ხელოვნების ოსტატებს

ფესტივალის კრიტერიუმების, ვადების, მომზადებისა და მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - ანკეტები, ფესტივალის დებულება და სარეკომენდაციო წერილი

ფესტივალის მონაწილის მინიმალური ასაკია 15 წელი, ბავშვების მონაწილეობა დასაშვებია სიმღერისა თუ ცეკვის საოჯახო ანსამბლებსა და ხალხური რეწვის სახეობებში.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი თერჯოლიდან ფესტივალში მონაწილეობითასთვის 18 განაცხადია შესული.

ტურის ჩატარების შემთხვევაში მათ შედეგებზე გაცნობებთ.

ფრაზები

დედის სიმღერა აკვანთან—„შენ ჩემო დიდო იმედო“...

***

ცისკენ ვიცქირებით მუდამ, რადგან სითბოც და სიცივეც ციდან მოდის.

***

ხანდახან შევუძახოთ თავს—წყნარად, აქ სხვებიც არიან.

***

ზედმეტად ადამიანურიც არ არის ადამიანური...

***

გამუდმებული წუწუნი კლავს.

***

პატიების უნარი —კეთილშობილებაა.

***

შეიძლება გაგიკვირდეთ და ფიზიკური შრომა დასვენებაცაა.

***

მზის ამოსვლას დაესწარით, მერე მოკიდეთ ხელი თოხს.

***

მდიდარს ნუ თხოვთ ფულს სასესხოდ, ნუ ჩაიდგამთ ფეხს მის ცოდვაში.

***

ცხოვრებას ცხოვრება გვასწავლის.

***

სულ შიშობ ფარისევლებმა ქება არ დაგიწყოს...

***

უსალმო კაცს ნუ შემოწყრებით—დატოვეთ თავის პრობლემებთან ერთად.

***

ადამიანის განუყრელი სასჯელი—დარდი!

***

ზოგი ადამიანი გვერდზე არ მოიხედავს, არადა როგორ გინდა კაი გამარჯობა გითხრას...

***

როცა სიკეთეს ხაზი ესმება, რა გელექსება.

***

სულ ადვილია გაბედნიერდე—გაეცი სიკეთე.

***

თუ მაინც და მაინც სილამაზეს ეძებთ—მახინჯ სხეულსაც დააკვირდით...

***

მოვალეობა—პატივია დიდი!

***

ახლად გავლებულ სტრიქონს ერთბაშად ნუ შემოწყრებით...

***

სინოპტიკოსებს უნდა ვენდოთ, აბა, რა... მაგრამ ცისკენ მაინც ავიხედოთ!

***

ფიქრს კარს ვერ მიუხურავთ!

***

ზოგი ლოზუნგი ტრაბახს ჩამოგავს.

***

იუმორი განმუხტვის უებარი საშუალებაა.

***

თუ არ ხარ დარწმუნებული—შეყოვნდი,

თუ ხარ დარწმუნებული ცოტათი მაინც შეყოვნდი.

***

ამ ქვეყანაზე რა არ ხდება?!

—რა მოხდა, მერე!

***

ენამჭევრი ციცერონები მუდამ მოგვიწოდებდნენ.. საქმის საკეთებლად მათ არ ეცალათ!

***

როცა ბერდება, მუხასაც წყდება ფოთოლი;

***

თუ შეშა არა გაქვთ, მარტს ნუ გააქილიკებთ...

***

სახსრების ტკივილს ხშირად უსახსრობა იწვევს.

***

სიბერე?.. სარკეს რა დაეჯერება!..

***

შენთვის საინტერესო როცა სხვისთვის უინტერესოა, ეს არის საინტერესო.

***

ადამიანი და მისი მუდმივი საფიქრალი — ოცნება მიმქრალი.

კროსვორდი
როგორ ვიცნობთ ჩვენს რაიონს?



1. მუნიციპალიტეტის ცენტრი 2. მაცხოვრის ეკლესია სოფელ ჩხარში 3. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია 4. ძველი დროის ისტორიული ქალაქი 5. ყოფილი ადმინისტრაციული ცენტრი 6. თუზის თემში შემავალი სოფელი 7. სიმონეთელი მამა-შვილი (ისტორიკოს-მკვლევარები) 8. თერჯოლის ერთ-ერთი სავარგული 9. სოფელი, სადაც არის კარსტული მღვიმე 10. ცნობილი ბაზარი 11. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია თერჯოლაში 12. სოფელი, რომლის სახელი ოთხი ასოსგან შედგება 13. მდინარე, რომელიც ჩამოედინება თერჯოლის ტერიტორიაზე 14. ერთ-ერთი სასოფლო კულტურა, რომლითაც ცნობილია თერჯოლის რაიონი 15. კლდიაშვილების სოფელი 16. ჩხარელი მომღერლები (მამაშვილი) 17. რაიონში გავრცელებული ერთ-ერთი საკვები კულტურა 18. მევენახეობა-მეღვინეობის ცენტრი 19. ძველი ისტორიული ციხე 20. გოგნელი პოეტი ქალი 21. თუზის თემში შემავალი სოფელი 22. ცნობილი ჩხარელი აგრონომ-სელექციონერი 23. ეკლესია სოფელ ღვანკითში.

ნუგზარ გამყრელიძე

21 მარტი—ქართული ჟურნალისტიკის დღე გილოცავთ!

ამ დღეს პირველ რიგში ვულოცავთ ადამიანებს, რომლებსაც მოუსვენარი ცხოვრება აქვთ, რომლებიც გამუდმებით ეძიებენ... ეძიებენ საზოგადოებისათვის საჭირო საინტერესო-ინფორმაციულ მასალებს, ეცნობიან შინა და გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენებს, წარსულს და აწმყოს, პროგნოზირებენ კიდეც!

ჟურნალისტიკა ვრცელი დარგია, საინტერესო, დინამიური... ჟურნალისტიკა წიგნიერ, განათლებულ ადამიანებთან ასოცირდება. ჟურნალისტი პირველი იგრძნობს ეპოქის მაჯისცემას, ის მთხრობელი კი არ არის მხოლოდ, საქმიანი ყოველდღიურობის უშუალო მონაწილე და მომწოდებელიცაა! ორიენტირის როლსაც ასრულებს—თავისთავად, ხან უყიჟინებს და... ვერ დავმალავთ—არც თუ იშვიათად ეკლიან გზაზეც უწევს ფეხშიშველი გავლაც...

მაგრამ, მთავარია სიმართლის მსახურება.

სხვა დანარჩენი მეორადია!

საქმის ერთგულება და მამულის სიყვარული არსებული რეალობის შემოქმედსაც და აღმასრულებელსაც ერთ ორბიტაზე მხარდამხარ ხელიხელჩაკიდებულს მიუჩენს ხოლმე სამოქმედო არეალს...

ამ ყველაფრის იდეოლოგიური უზრუნველყოფა უპირველეს ყოვლის გაზეთის მხრებზეა. გაზეთია უპირველესი მესიტყვე და მომწოდებელი. ამიტომაც გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ 1819 წლის 21 მარტი პირველი ქართული გაზეთის დაარსების დღედ გამოცხადებულიყო და მისი პირველი ნომერიც გამოეშვათ. აქედან გამომდინარე, ქართული ჟურნალისტიკის დღედ 1993 წლის 21 მარტი საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ერთობლივად დააწესეს ქართული ჟურნალისტიკის დღედ.

კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ ქართული ჟურნალისტიკის დღეს!

ჩვენი გაზეთი, რომლის წინამორბედის პირველი ნომერი 88 წლის წინ გამოვიდა, კვლავაც თავისი ხელისმომწერლების სამსახურშია. კვლავაც ერთგულებს თავის მკითხველს...

მიიღეთ ჩვენი გვერდში დგომა და სიყვარული.

ჩვენს ხელისმომწერლებსა და მათ, ვისაც ჩვენი გაზეთის გამოწერა გსურთ, გაწვდით ჩვენს სარეკლამო განცხადებას...

არ დაგავიწყდეთ ჩვენი გაზეთის გამოწერა 2022 წლისათვის!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე ფფლთა და ცისე ფფფფ, ფფფ"
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

გაზეთის ერთი ნომრის ღირებულებაა 50 თეთრი,
6 თვით - 6 ლარი, წლით - 12 ლარი.
ხელმომწერთათვის დადგენილია სხვადასხვა შეღავათები.

ნუ დაგვზარდებით, რაღაც მიზერული თანხის საზღაურად სისტემატურად მოგაწვდით საინტერესო ამბებს პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ თემებზე, ჩვენი მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობაზე, ჩვენი სოფლების დღევანდელობაზე, განათლებაზე, კულტურაზე, სპორტზე, ჩვენს ლამაზ ახალგაზრდობაზე, საინტერესო ადამიანებზე.

კვლავაც წარმოგიდგენთ ჩვენს დამსახურებულ ღვაწლმოსილ ადამიანებს და მათ, ჩვენი მუნიციპალიტეტის დღევანდელ სახეს რუდუნებითა და სიყვარულით რომ ქმნიან.

„თერჯოლა"

ჩვენი უკრაინელი—ჩვენი ქართველი

უკრაინა—ფართობით, მოსახლეობის რაოდენობით, კულტურით, ეკონომიკით ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა ახლა განსაცდელშია. უკრაინელი ხალხის სიმშვიდე მათ ქვეყანაში რუსეთის შეჭრამ დაარღვია, იღუპებიან ადამიანები, ბავშვები, ქალები, დანგრეულ-განადგურებულია ქალაქები, ინფრასტრუქტურა, ასი ათასობით უკრაინელი ლტოლვილად იქცა...

ძლიერი აღმოჩნდა უკრაინა, ვერ დააჩოქეს, ჯარისკაციც და ხალხიც გმირობის მაგალითებს უჩვენებენ რუსეთსაც და მსოფლიოსაც, მზერა ახლა უკრაინისკენ არის მიმართული, უწევენ მას ყველა შესაძლო დახმარებას, ორი ქრისტიანული და მოსაზღვრე ქვეყნის მოსახლეობის მილიონობით ადამიანი ერთმანეთის ქვეყნებში ცხოვრობენ—უკრაინელები რუსეთში, რუსები უკრაინაში, არც ეს და არც სხვა არაფერი აღმოჩნდა საკმარისი—ომი გრძელდება.

საქართველოშიც ცხოვრობენ უკრაინელები, ჩვენს რაიონშიც. ამჯერად ერთ-ერთზე—მშვენიერ ქალბატონზე, ალისუბნის №1 საჯარო სკოლის რუსული ენის წამყვან პედაგოგზე—ტატიანა ნიკოლოზის ასულ ხრისტიუკზე გიამბობთ.

1917 წელს ტატიანა ხრისტიუკის წინაპრები უკრაინიდან, კერძოდ დნეპროპეტროვსკიდან საცხოვრებლად ყაზახეთში გადავიდნენ და მათი შთამომავლობა დღესაც იქ ცხოვრობს, ეროვნებით უკრაინელები, მიუხედავად სხვა ქვეყანაში ცხოვრებისა, ყოველთვის უკრაინული ცხოვრებით ცხოვრობდნენ, არასოდეს დაუკარგავთ თავისი ქვეყნის სიყვარული, წეს-ჩვეულებების პატივისცემა, ეროვნული თვითმყოფადობა, დღემდე მოჰყვებათ უკრაინის განუზომელი სიყვარული. ოჯახში იცოდნენ სხვა ენებიც, მაგრამ ყოველთვის მშობლიურ ენაზე საუბრობდნენ, უკრაინისადმი მონატრება არასოდეს განელებიათ. ქალბატონი ტატიანა ამაყობს, რომ მისი ორი ბაბუა დიდ სამამულო ომში გმირულად დაიღუპა.

პავლოდარის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლისას გაიცნო მომავალი მეუღლე, ჩვენი რაიონის მკვიდრი, კარგად ცნობილი პიროვნება კორნელი შუღლაძე. დიდი სიყვარული ქორწინებით დამთავრდა, სასწავლებლის დამთავრებისთანავე მეუღლეს საქართველოში წამოჰყვა.

ოცდათერთმეტი წელიწადია ქალბატონი ტატიანა საქართველოში ცხოვრობს, ისეთივე სიყვარული აერთიანებს ბატონ კორნელის და ქალბატონ ტატიანას, როგორც ქორწინების პირველ დღეებში.

„მიუხედავად ჩემი ეროვნებისა, საქართველოში არასოდეს მიგრძვნია რაიმე სახის დისკრიმინაცია, არც სამსახურში, არც საზოგადოების მხრიდან, პირიქით, თავს ყოველთვის ისე ვგრძნობდი, თითქოს საკუთარ სახლში, ახლობლების წრეში ვიყავი, ქართველებმა მიმიღეს, როგორც თავისი სისხლი და ხორცი. შევიყვარე ქართველები და მათმაც შემიყვარეს"—ამბობს ქალბატონი ტატიანა.

კორნელიმ და ტატიანამ ორი შვილი აღზარდეს, ახლა ოთხი შვილიშვილი ჰყავთ, „ჩემი შვილიშვილები ამაყობენ, ხომ მათი მამები ნახევრად უკრაინელები არიან, რაც უდიდესი სიამოვნების მომგვრელია ჩემთვის" ამბობს ტატიანა. სიამაყის გრძნობა ეუფლება, რომ მისი ოჯახი ძლიერია, რომ ორი ერის სიყვარულია ერთმანეთთან შერწყმულ-გაერთიანებული.

დიახ, უყვარს ტატიანა ხრისტიუკს საქართველო და ქართველი ხალხი, ჩვენ, ქართველებსაც, გვიყვარს უკრაინა და უკრაინელი ხალხი, გამორჩეულად კი ტატიანა, რადგან იგი წლებია საქართველოში, თერჯოლაში, ჩვენს გვერდით ცხოვრობს, ტატიანა მასწავლებელს აფასებენ თანასოფლელები, ალისუბნის №1 საჯარო სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები, მათი მშობლები. სკოლის დირექტორის დავით კუტივაძის თქმით—იგი

წარმატებული პედაგოგია, კარგი მეგობარი, მოსწავლეების სიყვარულით გარემოსილი.

„ძალიან მწყინს და განვიცდი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს. ყოველი გასროლილი ტყვია, დანგრეული და მიწასთან გასწორებული ქალაქი, გარდაცვლილი ადამიანი ჩემთვის დიდი ტკივილია—უკრაინა ხომ ჩემი სამშობლოა. ომი საშინელებაა და მიმაჩნია, რომ ვიღაცის ახირებებს უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე არ უნდა ეწირებოდეს, მე და ჩემი ოჯახი, ისე, როგორც ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი, ვგმობთ რუსეთ-უკრაინის ომს, თანაგრძნობასა და სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინას და უკრაინელ ხალხს, ჩემი შვილები თბილისში მიმდინარე აქციების მონაწილეები არიან, რაც რწმენას მმატებს, ორმაგად მძიმეა ეს ომი ჩემთვის"—ამბობს ქალბატონი ტატიანა და სწამს და სჯერა, რომ უკრაინა გაიმარჯვებს, გახდება უკეთესი ქვეყანა, უფრო ძლიერი და უსაფრთხო.

ოღონდაც, ქალბატონო, ჩვენო უკრაინელო, ჩვენო ქართველო.

ჟუჟუნა ცხადაძე

შპს „თერჯოლა"

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა,კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ"-ის სტამბაში
ქუთაისი,ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი"
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872